საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 16 მარტი. 1920 წ.

ერთობა

ფასი 3 მანეთი

[illegible] 1 თვით 75 მანეთი, ცალკე ნომერი 3 მანეთი. განცხადებების ფასი ბოლო გვერდზე ყოველი სტრიქონი 5 მანეთი. პირველ გვერდზე 6 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივად ზომისა 15×2 სტრიქონი ხუთ. 100 მანეთი. ხელთ განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორის ადრესი: [illegible] ქ. 4, [illegible] მე-12-ით. ტელეფონი 16—49

№ 61 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 61

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესხეთ-ჯავახეთის სახალხო გვარდიის საოლქო შტაბი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს საუკეთესო გვარდიელი

რომანოზ კოზმას ძე ინასარიძის

უდროოდ გარდაცვალებას (ფ. 2—1)

ღრმად დამწუხრებული დედა მარუსა და სიძე ვასო ლუმბაძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ულმობელმა სიკვდილმა უდროოდ გამოასალმა მათთვის დაუვიწყარი ხონჯავანოვის გიმნაზიის მესამე კლასის მოწაფე

ნეონილა (პატკულია) მშვიდობაძე

დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 18 მარტს 2 საათზე. (978 1—1)

ღრმათ დამწუხრებულნი ივანე და მეუღლე ანიკო პეტრიაშვილები აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებს ძვირფასის და დაუვიწყარ

კონსტანტინე (კოლია) ნესტ. ძის მერკვილაძის

გარდაცვალებას, რომლის გამოსვენება იქნება 16 მარტს სამშაბათს დილის 10 საათზე წყნეთის ქუჩიდან 12 ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაზე, სადაც წირვის შემდეგ დაკრძალვა მოხდება იქვე, (ფ. 1—1)

ღრმათ დამწუხრებულნი მეუღლე იესე ალექსანდრეს ძე ბარათაშვილი, დედა ნინო ივანეს ასული, მამა კონსტანტინე იოსების ძე, ძმა ვიქტორი კონსტანტინეს ძე, რძლები ნადეჟდა ნიკოლოზის ასული და პრასკოვია პეტრეს ასული სვიმონიშვილები, დედამთილი ანასტასია ალექსანდრეს ასული და მაზლი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ბარათაშვილები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ, რომ მათთვის ძვირფასის და დაუვიწყარის

ელენე კონსტ. ასულის ბარათაშვილის

ორმოცის დღის წირვა და პანაშვიდი იქნება გადახდილი 17 მარტს, ოთხშაბათს, ვერის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში, პანაშვიდი შუადღის 12 საათზე. (986—2—1)

ოზურგეთის მაზრის ექიმის თანაშემწეთა და ბებია ქალთა პროფესიონალური კავშირის გამგეობა თავის ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს საყვარელი ამხანაგის

ალექსი გრიგოლის ძე კოვლელიშვილის

გარდაცვალების გამო.

სახელმწიფო თეატრი

სამშაბათს, 16 მარტს

ქართველ მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება

მეორედ

სინათლე

I ნაწ. მუსიკა კ. ფოცხვერაშვილისა.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. ◆0◆ დასაწყისი 7 ნახ. საათზე.

(ნ. 2—2)

ტფილისის სასოფლო სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოების

ჩვეულებრივი წლიური კრება

დანიშნულია 28 მარტს, დილის 11 საათზე, ნაცვლად 12-ს მარტს დანიშნული კრებისა, რომელიც არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო.

განსახილველი საგნები:

1) საბჭოს მოხსენება, 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 3 1919 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება, 4) 1920 წლისათვის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება, 5) არჩევა: გამგეობის თავმჯდომარის მორიგეობით გასული ვ. რ. ყიფიანის სამაგიეროდ; საბჭოს წევრთა მორიგეობით გასულთ: ვ. ლ. მაჭავარიანის და ილ. ხარაძის მაგიერ; სარევიზიო კომისიის სამის წევრის და მათ კანდიდატებისა.

ამ კრებაზე რამდენი წევრიც უნდა დაესწროს, კანონიერი იქნება.

(956—2—2)

საჭიროა

გამოცდილი მზარეული

რომელმაც უნდა მოამზადოს ყოველ დღე 200 სადილამდე კოოპერატიული სასადილოს წევრთათვის თავის ხარჯზე. პირობების გაცნობა შეიძლება გამგეობის თავმჯდომარესთან ნიკო დანდუროვთან: ქალაქის აგენტების კანტორა მე-5-ე უბ. თათრის მოედანი 8—10 საათ. დილით.

(951—2—2)

ექიმი ზ. ი. ოქროპირიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. [illegible] ქუჩა № 22, სოლოლაკი.

(ნ.—თ.).

„მორნინგ პოსტ"-ი და ბათუმი

ინგლისში გამოდის ერთი გავლენიანი გაზეთი—„მორნინგ პოსტ"-ი, რომელიც გამომხატველია ინგლისის ყველაზე კონსერვატიულ და იმპერიალისტურ წრეების სულიერ განწყობილებისა. ეს ორგანო თავიდანვე მომხრე იყო რუსეთის შინაურ საქმეებში აქტიურ ჩარევისა, რუსეთში დიდ ბრიტანეთის ჯარების შეყვანისა, ბოლშევიზმის გასრესის და ძველი რუსეთის აღდგენისა მის წინანდელ საზღვრებში. ამნაირი პროგრამა თავის თავად გულისხმობს რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე ახლად აღმოცენებულ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის მოსპობას და მათ დაბრუნებას რუსეთის საზღვრებში.

ამით აიხსნება მტრული განწყობილება „მორნინგ პოსტისა" ამ ახალ სახელმწიფოებისადმი და განსაკუთრებით საქართველოსადმი. დენიკინელებმა ეს გაზეთი თავის იარაღად გადააქციეს და ეს ერთი ხანია მის საშუალებით ევროპაში და კერძოთ, ინგლისში ავრცელებენ საქართველოს შესახებ ყოველ სახიფათო ჭორს და საქართველოს დამამცირებელ ცნობებს.

უკანასკნელ ხანებში ეს გაზეთი მაინც არ გვაკლებს თავის განათლებულ ყურადღებას. ამას წინათ მან დიდი წერილი უძღვნა ბათუმის საკითხს. წერილის კილო, მისი შინაარსი, ზოგიერთი ცალკე სიტყვები, შიგ გატარებული ტენდენცია—ყველაფერი ეს ამჟღავნებს, რომ წერილის ავტორი ძველი რუსეთის ჩინოვნიკურის თვალსაზრისით უყურებს ბათუმის საკითხს. წერილის დასაწყისშივე ბათუმის ოლქი მონათლულია, როგორც „რუსული ოლქი". როგორც ძველ რუსის ჩინოვნიკებს შეეფერება, კავკასიის ყველა მცხოვრებთ იგი „ველურებს" უწოდებს. თუ არა ინგლისელთა ჩარევა, თუ არა დიდ ბრიტანეთის ჯარების შეყვანა ამ ქვეყანაში, მისი სხვადასხვა ერები ერთი ერთმანეთს დასჭამდენ, „მოხდებოდა საშინელი სისხლის ღვრა და ხოცვა ჟლეტა ამიერ-კავკასიის და სომხეთის მშვიდობიან მცხოვრებთა". ბათუმის ოლქის მეზობელთა შორის ყველაზე „მეხთალი" არის მისი ყველაზე ახლო მეზობელი—საქართველო: „არ არის არც ერთი ფორმა მტარვალობისა, რომელიც არ გამოეყენებინოს ამ დემოკრატიულ მთავრობას." უსაზღვროა მისი პრეტენზიები და მისი ოცნებები: „მას თავი მიაქვს დიდ სახელმწიფოდ", თუმცა ამისთვის მას არავითარი ძალა არ შესწევს: „დამოუკიდებელი საქართველო ოცნებაა".

ასეთი დახასიათება საქართველოს რესპუბლიკისა „მორნინგ პოსტ"-ის დენიკინელ ავტორს იმის დასამტკიცებლათ დასჭირდა, რომ ბათუმის და მის ოლქის შესვლა საქართველოს საზღვრებში პირდაპირ დამღუპველი იქნება. მაგრამ ვისთვის იქნება ეს „დამღუპველი"? ვისთვის სტკავა გული იმპერიალისტების გაზეთს? ბათუმის მცხოვრებთა რომელი ელემენტების ბედი აფიქრებს მას? სწორედ ამ საკითხშია „მორნინგ პოსტ"-ის წერილის სიმძიმის ცენტრი. მთელს წერილში ერთი სიტყვითაც არ არის მოხსენებული თვით ბათუმ-აჭარის ძირითად მცხოვრებთა ინტერესები. მათ შესახებ მხოლოდ ერთი დიდი ტყუილია ნათქვამი, ვითომც „ქართველი მაჰმადიანები, რომლებიც აჭარულ სოფლებში უმრავლესობას წარმოადგენენ, მტრულად არიან განწყობილნი საქართველოს მთავრობისადმი". აჭარლებს, გაზეთის სიტყვით, ეს საქართველოსადმი მტრული განწყობილება „არა ერთხელ დაუმტკიცებიათ". ამ „დამტკიცების" დასასურათებლად გაზეთს, რა თქმა უნდა, არც ერთი ფაქტი არ მოჰყავს. და ან რით დაამტკიცებდა იგი ამ „მტრულ განწყობილებას"? იმით, რომ აჭარელთა მიერ არჩეულმა მეჯლისმა ერთხმად დაადგინა, რომ აჭარა საქართველოს საზღვრებში უნდა შევიდესო? ან იქნებ იმით, რომ აჭარლების მიტინგებზე მთელი ხალხი „ღვთისა და ქვეყნის წინაშე" აღიარებს, ჩვენ ქართველები ვართ და ჩვენ ქვეყანას საქართველოს განუყოფელ ნაწილად ვთვლითო? ან იქნება იმით, რომ ბათუმის საქალაქო არჩევნებზე მცხოვრებთა სამმა მეოთხედმა საქართველოს ორიენტაციის სიას მისცა ხმა? ყველა ამ ფაქტების შესახებ „მორნინგ-პოსტი" ბრძნულად სდუმს.

მაშ ვისთვის ყოფილა ასე საშიში საქართველოს შემოსვლა ბათუმ აჭარაში? გაზეთის სიტყვით ბათუმში თავი მოუყრია იმ ელემენტებს, რომლებიც საქართველოს „მტარვალურ" პოლიტიკის წყალობით თბილისიდან და სხვა ქალაქებიდან გამოიდევნენ და რომლებსაც არ სცოდნიათ, სად შეეფარონ თავი. ჩვენ კარგათ ვიცით, ვიზედ ლაპარაკობს „მორნინგ-პოსტ"-ის დენიკინელი თანამშრომელი: ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს ქალაქებიდან გაიდევნა უმთავრესად ლიკვიდაციის კანონის ძალით სამსახურიდან დათხოვნილი ძველი რუსეთის ჩინოვნიკები, ჟანდარმები, პოლიციელები და ოფიცრები. დღეს ამ ხალხმა ბათუმს შეაფარა თავი და ბათუმში ცდილობს განაგრძოს „ველურ" ხალხის მართვა და მისი გაბედნიერება, როგორც თვითმპყრობელობის დროს აბედნიერებდა მთელ ამიერ-კავკასიის მცხოვრებთ. საქართველოს შესვლა ბათუმ—აჭარაში იმას ნიშნავს, რომ ეს ჟანდარმ-პოლიციელები ბათუმშიაც უნდა გამოეთხოვონ თავის ბატონობას.

მეორე კატეგორია, რომელსაც აშინებს ბათუმ აჭარის საქართველოს საზღვრებში შესვლა, ეს არიან, როგორც მათ „მორნინგ პოსტი" უწოდებს, „კოლონისტები". თურმე მათ მეოხებით და შრომით ყოფილა აყვავებული მთელი შავი ზღვის ნაპირები, ისინი ყოფილან ნამდვილი „კულტურტრეგერები" ამ „ველურ" მხარეში, მათ უწყალობებიათ მცხოვრებთათვის „ჩაის, ფორთოხლის, მანდარინის და სხვა პლანტაციების გაშენება." მაგრამ ჩვენ ვიცით ვინ ბრძანდებიან უმთავრესად ეს „კულტურტრეგერები": ესენი არიან რუსეთის მთავრობის მაღალი მოხელეები, გენერლები, მეფის მინისტრები, რომლებმაც „განსაკუთრებულ დამსახურების გულისთვის" თითქმის უფასოდ ხელთ იგდეს ეს სამოთხისებური ადგილები, რომლებიც ადგილობრივ მცხოვრებთა უთვალავ უნდა ყოფილიყო. და არ უნდა გავიკვირვოთ, თუ ამათ ეშინიანთ საქართველოს შესვლა აჭარაში, რადგან ამ შესვლისთანავე უეჭველია დაისმება საკითხი იმ უსამართლობის გასასწორებლად, რაც თვითმპყრობელობამ აჭარის მცხოვრებთა მიმართ ჩაიდინა.

მესამე კატეგორია, რომელსაც საქართველოს ბათუმში შესვლა აშინებს, ეს არიან ბათუმის სპეკულიანტები. ბათუმში მათ მთავარი ბუდე მოუწყვიათ და როგორც ძველი დროის მეკობრენი, მთელ ამიერ-კავკასიას შიმშილით კლავენ და ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა ძარცვით იძენენ მილიონებს. საქართველოს შესვლა ბათუმში ამ გამდიდრების „[illegible]" საშუალებებს მოუსპობს მათ და ამით აიხსნება მათი წივილ-კივილი საქართველოს „მტარვალობაზე". საქართველოს მთავრობა ბათუმში შესვლისთანავე „ყველა არა ქართველებს ორი კვირის ვადას მისცემს, რომ გავიდნენ ქალაქიდან. ყველა არა ქართველი მოვაჭრენი, დაწესებულებანი ისეთ მდგომარეობაში იქნებიან ჩაყენებულნი, რომ იძულებულნი გახდებიან გაიქცენ და აზიურ მთავრობას დაუტოვონ თავისი ქონება". ბათუმის სპეკულიანტებმა მშვენივრად იციან, რომ საქართველო სდევნის არა „არა-ქართველებს", არამედ ყველა სპეკულიანტებს განურჩევლად ეროვნებისა. მაგრამ ისინი ცდილობენ ნაციონალურ ნიადაგზე გადაიტანონ საკითხი და ამით აიცილონ თავიდან თავისი ყაჩაღური ქსელის დანგრევა ბათუმში.

სპეკულიანტები, ძველი ჩინოვნიკ-ჟანდარმ-ოფიცრები, თვითმპყრობელ მთავრობის მინისტრები და გენერლები, რომლებიც დღეს თავის თავს „კოლონისტებს" უწოდებენ,—აი ვის აშინებს ბათუმ-აჭარის საქართველოს საზღვრებში შესვლა, აი ვინ ეწევა აგიტაციას საქართველოს წინააღმდეგ „მორნინგ პოსტ"-ის და სხვა იმპერიალისტურ ორგანოების ფურცლებზე. ადგილობრივი მცხოვრებნი, აჭარის მაჰმადიანი ქართველობა, პირიქით, გულის ფანცქალით ელოდება იმ დღეს, როდესაც თავიდან მოიშორებს ამ სპეკულიანტებს და ჩინოვნიკებს და დაუბრუნდება თავის მშობელ ერს.

განაპირა კუთხეები

დღემდე, მთელ ჩვენ ყურადღებას, მთელ ჩვენ საქმიანობას, მთელ ჩვენ ენერგიას იზიდავდა და იწირავდა ცენტრალური მართვა გამგეობის გამტკიცების და ჩამოყალიბების საკითხები. ცენტრის გამაგრება, მისი გამტკიცება, გადაჭრა ზოგადი, საერთო საკითხების, რომელზედაც დამოკიდებული იყო რესპუბლიკის „ყოფნა არ ყოფნის" კითხვა, საშუალებას არ იძლეოდა ჩვენ ხელმძღვანელ წრეებს საჭირო ყურადღება მიექცია განაპირა კუთხეებისათვის. დღეს, ასე თუ ისე, გარემოება შეიცვალა, შეიცვალა იმდენათ მაინც, რომ შესაძლებელი ხდება განაპირა კუთხეების საქმეებს უფრო მეტი დრო და ყურადღება მოვანდომოთ. უნდა ვაღიაროთ, რომ მდგომარეობა ამ კუთხეებისა მეტად რთული და მოუწესრიგებელია. აქ თავს იყრის ათას გვარი ინტერესი, ინტრიგები, კომბინაციები, რომელთა შეთანხმება, დახსნა და უკუგდება არც ისე ადვილი საქმეა.

ფრიად საპატიო მიზეზების გამო ამ ადგილებში ჩვენ დღემდის ვერ შევსძელით შემოქმედებითი და აღმშენებლობითი მუშაობით გაგვემტკიცებია ჩვენი რესპუბლიკური ხელის უფლება.

ამით ფართოთ სარგებლობენ ჩვენი „მტერ მოყვარენი", თავის ეგოისტური მიზნებისათვის ადვილათ იყენებენ შექმნილ მდგომარეობას და ასე ხელს უწყობენ ისეთი პირობების შექმნას, რომელიც კიდევ უფრო ართულებს რესპუბლიკის მდგომარეობას. ამიტომ, ჩვენი მესვეურების გარდაუვალი მოვალეობაა განაპირა კუთხეების შინაური საქმეები, რაც შეიძლება დაჩქარებით და საფუძვლიანად მოაწესრიგოს.

მთავრობამ უკვე მიმართა ამ ნაირ ტაქტის მუშაობას და იმედი უნდა ვიქონიოთ ამ მუშაობის გაძლიერებით, გამტკიცებით, ადგილობრივ პირობებთან შეთანხმებით, განაპირა კუთხეების მდგომარეობა სულ მალე სათანადო კალაპოტში ჩადგება და რესპუბლიკის სხვა ნაწილებთან ერთად შექმნიან იმ ურყევ საფუძველს, რომელზედაც შენდება ხალხის ბატონობა და მისი კეთილდღეობა.

განი.

სახელმწიფო გადატრიალება გერმანიაში

(ფრანგული პრესის ცნობები)

(დასაწყისი არ მიგვიღია)... მთავრობის სათავეში სდგანან ფონ კაპპი და გენერალი ლიუტვიცი. ახალი მთავრობის მიერ ეროვნული კრება გაუქმებულად არის გამოცხადებული. ებერტის, ბაუერის და ნოსკეს მთავრობა დრეზდენში შეიკრიბა. მან მუშებისადმი მოწოდება გამოსცა საერთო გაფიცვის წინააღმდეგობით.

„პტი პარიზიენი" არკვევს რა ბერლინის ამბებს, სწერს: „მოკავშირეთა მთავრობებს არ შეუძლიათ იცნონ რეჟიმი, რომელიც... (სიტყვა დამახინჯებულია) გამომდინარეობს. ისინი, ალბად, მოიცდიან, რომ გერმანიის ხალხმა გამოსთქვას თავისი სურვილი ახალ არჩევნებში, თუ კი ეს არჩევნები თავისუფლებისა და გულწრფელობის საკმაო გარანტიებში მოხდება. რაც შეეხება მოკავშირეთა საკანტროლო კომისიებს, გენერალმა ფონ ლიუტვიცმა, როგორც კი თავის თავზე სამხედრო მინისტრის უფლება აიღო, ერთ ერთი თავისი ადიუტანტთაგანი გაუგზავნა მათ დასარწმუნებლათ, რომ მათი მშვიდობიანობა უზრუნველყოფილი იქნება (ს. დ. ს.).

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

15 მარტი.

ფრანგული პრესის ცნობები.

ელჩთა კონფერენციაზე.

შაბათს შეიკრიბება ელჩთა კონფერენცია, რათა განიხილოს მოხსენება გერმანელების მიერ მოკავშირე მისიის წევრებზე თავდასხმის გამო შექმნილ მდგომარეობაზე.

საერთაშორისო ჟანდარმერია ოსმალეთში.

ლონდონში, უმაღლესი საბჭო შეუდგა ოსმალეთში მყოფ მცირე ეროვნებათა დასაცავად ზომების გამოძებნას. განხილული იყო საერთაშორისო ჟანდარმერიის დაარსების საკითხი.

იტალიის მინისტრების გადადგომა.

მინისტრებმა ნიტტის გადასცეს თხოვნები მათ მიერ თანამდებობის დატოვების შესახებ.

ხალხთა ლიგა.

შაბათს პარიზში საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობაში შეიკრიბა ხალხთა ლიგის საბჭო. ბურჟუამ კრებას წარუდგინა ლოიდ ჯორჯის წერილი, რომ ხალხთა ლიგამ გაგზავნოს რუსეთში საგანგებო კომისია, რომელიც იქიდან მიუდგომელ ცნობებს გამოიტანს. დელეგატებმა ერთსულოვნად მიიღეს წინადადება 10 კაცისაგან შემდგარი კომისიის შედგენის შესახებ. ამათ მინდობილი ექნებათ თანამშრომლობა რუსეთის ცხოვრების პირობების შესახებ მიუდგომელი ცნობების შეკრება. ამ კომისიის ყოველ წევრს თანაშემწედ ორი მრჩეველი ეყოლება. ამ წევრებთაგან ორს—პატრონსა და მუშას—წამოაყენებს შრომის საერთაშორისო ბიურო. შემდეგ საბჭომ გადასწყვიტა [illegible] წითელ ჯვარს [illegible] მზრუნველობა ტიფით ავადმყოფ პოლონელების მიმართ. დელეგატებთან თათბირის შემდეგ, ლეონ ბურჟუამ მომავალი სხდომის ადგილად დანიშნა რომი. შემდეგი სხდომები აპრილის დასაწყისში გაიმართება.

მარშალ ფოშის მოხსენება.

„პტი პარიზიენის" ცნობით, ელჩების კონფერენციამ, რომელიც შაბათს დილით მილერანის თავმჯდომარეობით საფრანგეთისა და მოკავშირეთა ოფიცრებისა და ჯარისკაცებზე შეიკრიბა, მოისმინა მარშალ ფოშის მოხსენება თავდასხმის შესახებ, რომელსაც ამ მოკლე დროის ადგილი ჰქონდა გერმანიაში. მარშალმა ფოშმა საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მილერანთან შეთანხმებით, წინადადება შეიტანა, ენერგიულად გამოითხოვონ, რათა გერმანიის მთავრობისაგან მიიღონ იმის გარანტია, რომ ამგვარი ინციდენტების განმეორება არ მოხდეს. ეს წინადადება მოკავშირეთა მთავრობებს გადაეცა განსახილველად.

ბოლშევიკური ჯარის ცნობა.

(ვარშავიდან)

სტავროპოლის სამხრეთით 39 ვერსის სამხრეთ რუსეთში რკინის გზის ხაზზე წითელ არმიელები იმყოფებიან. როსტოვის სამხრეთით დენიკინელებმა ეკატერინოდარის რკინის გზა დასტოვეს. კუბანის კაზაკებმა ბოლშევიკებისკენ გადაიარეს.

ციმბირში.

ციმბირში წითელმა ჯარმა ირკუტსკს მიაღწია.

ტრედიუნიონების კონგრესი.

ტრედიუნიონების კონგრესმა გასატარებლად აუცილებელ საშუალებათა გამონახვის განხილვის დროს მაღაროების ნაციონალიზაციისა, უარყო პირდაპირი მოქმედების პოლიტიკა 3,779,999 ხმით, 1,959,999 წინააღმდეგ და ძველი მოქმედების გაგრძელება გადაწყვიტა.

პენზის სამაგალითო ეპისკოპოსი.

არქიეპისკოპოსი ვლადიმერი ყურადღებით ეპყრობა საბჭოთა მთავრობის მიზნებს. ის ხალხს და რევოლიუციას ემსახურება. ფრონტის კურიაში არხიეპისკოპოსმა ვლადიმერმა ეკლესიაში წითელ არმიელებისათვის საჩუქარი მოაგროვა, მოწოდებით მიმართა რკინის გზელებს მუშაობის გაძლიერების შესახებ. 9 თებერვალს მან რევოლიუციონერ მსხვერპლთა პანაშვიდი და 11 მარტს რევოლიუციის სამი წლის თავის აღსანიშნავად პარაკლისი გადაიხადა.

პეტროგრადის საბჭოს მოწოდება.

პეტროგრადის დეპუტატთა საბჭომ სხვა მუშათა ორგანიზაციებთან ერთად მთელი ქვეყნის მუშებს შემდეგის მოწოდებით მიმართა: „სამი წლის წინად აჯანყებულმა მუშებმა და გლეხებმა დაამხეს რუსეთის თვითმპყრობელობა ამ დრომდე ჩამორჩენილ ქვეყანაში, იმ ქვეყანაში, სადაც საშინელი რეაქცია იყო გამეფებული, სრულიად ახალი ცხოვრების აღმშენებლობა დაიწყო. რევოლიუციონერმა პროლეტარიატმა 3 წლის ბრძოლაში ბევრი იბრძოლა და მრავალ გამარჯვებასაც მიაღწია მთელი ქვეყნის ბურჟუაზიის საწინააღმდეგო საშინელ ომში, ყოველი მხრიდან გარშემორტყმული იმპერიალისტების ბრძოლებისაგან, რუსეთის რევოლიუციონურ პროლეტარიატს, პეტროგრადის მუშათა ყოველთვის მტკიცეთ სწამდა, რომ მის მტერთა ბანაკში არის მეგობრებიც, ყოველთვის იცოდა, რომ მსოფლიოს მუშები მასთან ერთად იბრძოდენ. ეხლა თავის გამარჯვების წლის თავზე პეტროგრადის რევოლიუციონური პროლეტარიატი მწუხარებით თავგანწირული სდგას და იგონებს იმათ ბრწყინვალე სახელებს, ვინც დაიღუპა

თავისუფლებისათვის ბრძოლაში და მოუწოდებს ახალი ბრძოლისაკენ, ახალი გამარჯვებისაკენ. გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარულ რევოლუციას. შენკურსკში ქალთა ყოფილი მონასტრები სავს თქუთობით აქვსის.

ბოლშევიკების ცნობები.

ხიზუფთავისთვის.

ვლადიმირი. 12 მარტი. ქალაქ ალექსანდროვის ქარხნებთან დაარსებულ აბანოებთან აარსებენ საპარიკმახეროებს, სამრეცხლოებს და იძლევიან საპონს ხიზუფთავის კომისიის კანტროლის ზედამხედველობის ქვეშ.

თეთრების ზანაკში.

კიევი. 12 მარტი. ბაქოდან ჩამოსულები იტყობინებიან: ნავთის რეზერვუარები სავსეა, ბურჟუაზია ბაქოს სტოვებს.

გზები და ხიდები.

კურსკი. 12 მარტი. [illegible] კომისარი, შეუდგა ამ გუბერნიაში ომიანობის დროს დანგრეულ ხიდების და გზების შეკეთებას, განსაკუთრებული სისწრაფით ასწორებენ პოდოლსკ ხარკოვის შარაგზას.

კოლჩაკის ბანდების ნაშთები.

ომსკი. 9 მარტი. ზღვის პირის ოლქი თითქმის სავსებით გაწმენდილია კოლჩაკის ბანდების ნაშთებისაგან. ყაზახობა მოუწოდებს ყველა ატამანებს, რათა ისინი მოხალისედ ჩაეწერონ რევოლუციურ ჯარებში. იდლიური ყაზახობა უარს აცხადებს წინანდელ ტრადიციებზე. ბლაგოვეშჩენსკი დაიკავეს პარტიზანებმა, რომლებიც ბოლშევიკების ახალგაზრდობით შეტევით ომს აწარმოებენ. კალნიკოვი მცირე რაზმებით იმყოფება ამურის დაბლობებზე. ამ რკინის ჯაჭვით გარს არტყია პარტიზანები.

სამხედრო ცნობები.

მოსკოვი. 14 მარტი. მუხმანის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ხალ. ომანტრა და ოდენკ. რიჯიოვის რაიონში, რიგიოვის დასავლეთით, ჩვენი წინსვლა სასურველად მიმდინარეობს. ოვრუჩ კორისტენის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა დაიპყრეს ქალ. ოვრუჩი და კორისტენის ჩრდილო-დასავლეთით 30—40 ვერსზე მდებარე სოფლები ხაზი. პოდოლის მოგილიოვის მიმართულებით ქალ. უშიცის აღმოსავლეთით ჩვენთვის სასარგებლო ბრძოლა სწარმოებს. პერეკოპის რაიონში გრძელდება სასტიკი ბრძოლები სომხის ბაზრის სამხრეთით. სივაშის რაიონში მტრის გემები უშედეგოთ ესროდენ ქალ. გენიჩესკს. ტიხორეცკაიას რაიონში ჩვენმა ნაწილებმა დაიკავეს სტანიცა და სადგური ტიხორეცკაია. მდ. ყუბანზე ჩვენ დავიპყრით სადგური კავკაზსკაია და მის დასავლეთით და აღმოსავლეთით მდებარე სოფლები. სტავროპოლის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა მოიგერიეს რა მტრის არა ერთი ცრუ შეტაკება, სტავროპოლის დასავლეთით, ამ ბრძოლებში ხელთ იგდეს 7 ზარბაზანი, მრავალი ტყვიისმფრქვეველი და სხვა დოვლა.

ხამ ხართულიანი დიპლომატია.

პოლონელი სოციალისტები წინააღმდეგნი არიან იმ საიდუმლოებისა, რომლითაც პოლონეთის მთავრობამ მოიცვა საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკების საქმე. ისინი ზავის ხირობების დაუყოვნებლივ გამოქვეყნებას მოითხოვენ. ვარშავის დეპუტატთა საბჭო პოლონეთის მუშებს საერთო გაფიცვებისაკენ მოუწოდებს სოციალისტების მოთხოვნილებათა მხარის დაჭერით. ბელოსტოკის პოლიტიკური პარტიები საბჭოთა რუსეთთან დაუყოვნებლივ ზავს მოითხოვენ.

იაპონელ ჯარისკაცთა აჯანყება.

ციმბირში მყოფ იაპონელთა ჯარის ზოგიერთ ნაწილებში აჯანყება მოხდა.

პრესის მიმოხილვა

ინგლისის ოფიცრები საბჭოთა რუსეთთან ზავის შეკვრის მომხრე არიან, „ობზერვერი" რადგანს სავსებით მოჰყავს მემორანდუმი, რომელიც ინგლისის მთავრობას წარუდგინეს ინგლისის გამოჩენილმა ოფიცრებმა და რომლებიც ამტკიცებენ: ქვემორე ამის ხელის მომწერნი ფიქრობენ, რომ წარსულში რუსეთის მთავრობის მიერ ჩადენილი დანაშაული არ შეიძლება გახდეს ამ მთავრობის ცნობის დასაბრკოლებელ მიზეზათ გახდეს. მათ არ სჯერათ, რომ ციმბირსა და სამხრეთ რუსეთში მყოფ არა ბოლშევიკურ მთავრობის მოწინააღმდეგეს ძალით ბოლშევიკებზე მეტი აღმატებობა გააჩნიათ. თუც შეებბა ძალასა და ენერგიას ისინი ამ ხარიჯ ბოლშევიკების მთავრობასთან ხუსტი ბრძოლადეს. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება რუსეთის საკითხი ევროპის დიდ საკითხებისაგან გამოიყოს. ყოველ დღე თანდათან უფრო აშკარავდება, რომ ევროპის მდგომარეობის სიმტკიცე უმთავრესად დამოკიდებულია იმაზე — იქნება თუ არა მომავალ წელში ევროპის ცენტრალური სახელმწიფოები სურსათ-სანოვაგით უზრუნველყოფილი. არ შეიძლება, რომ მათ სურსათ-სანოვაგით უზრუნველყოფა რუსეთის გარდა სხვა წყაროთ გაიცენბოთ. თუ რუსეთის პური დასავლეთისაკენ იქნა დაძრული, მაშინ შიმშილის შიში და მისი კატასტროფიული შედეგი მოისპობა. მაგრამ თუ საერთო ზავი არ იქნა შეკრული, შემდეგ დასძენენ, რომ რამდენადაც გაძლიერდება ზავის დამყარება, მით უფრო გაიზრდება რუსეთზე გერმანიის გავლენა.

ამგვარათ, ინგლისის გამოჩენილი ოფიცრები მთავრობას უთითებენ საბჭოთა რუსეთთან ზავის შეკვრის ღრმა მიზეზებზე.

საქართველო და საბჭოთა რუსეთი

ჩიჩერინის ნოტა.

საგარეო საქმეთა მინისტრმა ევ. გეგეჭკორმა მოსკოვიდან ჩიჩერინისაგან მიიღო შემდეგი ნოტა:

29 თებერვალი 1920 წ. ისტორიამ საკმაოთ გამართლა რუსეთის მუშათა და გლეხთა მთავრობა იმ მიკერძოებით და ბრმა სიძულვილით გამოწვეულ ბრალდებებში, რომელსაც ასე დაჟინებით უყენებს მას გეგეჭკორის მთავრობა; რომელიც იმეორებს იმ მოჭორილ ფაქტებს, რაც არა ერთხელ გაუარყოფილებით საბჭოთა მთავრობის მტრებს და რომელი ფაქტებიც დასამარებულ იქნა საბჭოთა მთავრობის გამარჯვებული წინსვლით. რუსეთის საბჭოთა მთავრობა ერთად ერთი გულწრფელი მეგობარია მცირე ერების, რომელიც მართლადაც ატარებს ცხოვრებაში ყველა ერების მშრომელთა ნაციონალურ თვითგამორკვევის პრინციპს საბჭოთა მთავრობა მოუწოდებდა საქართველოს საერთო ძალღონით განადგურებინათ მეფის გენერალი დენიკინის თეთრ გვარდიელების ლაშქარი, რომელსაც მიზნად აქვს დასახული ძველი რეჟიმის აღდგენა და აფიწროვებს ერებს, რომლებიც წინათაც იყვნენ მეფის იმპერიის მიერ დამონავებულნი.

იმის მაგიერათ, რომ დაეწყო ბრძოლა საქართველოს მთავრობას ხალხის სასიცოცხლო ინტერესებისათვის, გეგეჭკორის მთავრობამ გამოილაშქრა თავის პასუხში საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ, თითქოს ლასხეულ ჰქონდეს განსაზღვრული მიზანი უფრო გაღრმავეს უფსკრული თავიანთ და იმ მთავრობას შორის, რომელიც გამომხატველია რუსეთის მუშათა მასსის ნებასურვილების.

საგარეო საქმეთა მინისტრმა გეგეჭკორმა, რომელიც ბრალს სდებს საბჭოთა მთავრობას ბრესტ ლიტოვსკის ზავის შეკვრაში, არ შეიძლება არ იცოდეს, რომ იმ მემკვიდრეობამ, რომელიც მუშათა და გლეხთა რევოლუციის დროს წერეთელისა, კერენსკის და კადეტთა კონტრ-რევოლუციონერმა მთავრობამ, რომელიც ძალე წინააღმდეგობას იცავდა მშრომელ მასსის ინტერესების წინააღმდეგ, დაუტოვა საბჭოთა მთავრობას, იძულებული იყო ეკ ნასკნელი უიარაღოთ გამოსულიყო შეუბრალებელ და მტაცებლურ გერმანიის იმპერიალიზმის წინაშე. მაგრამ, მიუხედავათ მძიმე მსხვერპლისა, რომელიც რუსეთის მუშათა და გლეხთა მასსამ გაიღო თავისი სურვილის წინააღმდეგ,—მან სასტიკ მტრის წინაშე მაინც შეინარჩუნა თავისი სახაზინო, უძვირფასესი მონაპოვარი—საბჭოთა მთავრობა,—ეს მუშათა და გლეხთა მთავრობა, შეინარჩუნა დაუშრეტელი წყარო ძლიერებისა, რომელმაც ბრესტის ხელშეკრულება გააუქმა იმ უდიდებულით, რამაც დაანგრია გერმანიის იმპერიალიზმი და საბოლოოთ და შეუბრყალებლათ გაამტკიცა, მიუხედავათ წარმოუდგენელ სიძნელეთა და განცდათა, მუშათა და გლეხთა მთავრობა რუსეთში.

ამ გზით არ წავიდა ჟორდანიას და გეგეჭკორის მთავრობა. გერმანიის მტაცებელმა იმპერიალიზმმა, რომელსაც ძიებაში ჰქონდა უანგარო გადგურთვებოთ თავისი ძლიერება და განადგურებინა ის ძალა, რომელიც მის იმპერიალიზმს წინ აღუდგებოდა, ან ეს იმპერიალიზმი გზადგებოდა რუსეთის მშრომელთა მასსის მთავრობის დამხობას. ისარგებლა რა მან რუსეთის ახალი წყობილების სამხედრო ძალების სისუსტით, შექმნა რუსეთის განაპირა ქვეყნებში თავისათვის დასაყრდნობი კონტრ-რევოლუციონური პუნქტები, ძიებაში ჰქონდა თეთრ გვარდიელების რკალი შემოერტყა საბჭოთა რუსეთისათვის და ამ საშუალებით დაეღუპა იგი. ამ თეთრ გვარდიელთა რკალში სკოროპადსკის და კრასნოვებთან ერთად არა ნაკლები ადგილი ეჭირათ ჟორდანიას და გეგეჭკორს. როდესაც ასე ადვილათ შეუთანხმდნენ ტრაპიზონში ოსმალეთის ფაშებს, რათა მიიღეს ასეთი დახმარება გერმანიის გენერლებისაგან და დიპლომატებისაგან, რა იყო მიზეზი, რომ გერმანიის მთავრობა ასე დაუნდობელი და სასტიკი იყო საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ და ასე გულმოდგინეთ იცავდა ჟორდანიას და გეგეჭკორის მთავრობას. ყველამ კარგად იცის, რომ ამის მიზეზები ძლიერ მარტივია იმაში, რომ ჟორდანიას და გეგეჭკორის მთავრობა იყვნენ ბრმა იარაღი კონტრ-რევოლუციისა და თავიანთ ქვეყანაში სთურგნავდნენ მშრომელთა განმანთავისუფლებელ მოძრაობას და შექმნეს ერთი დასაყრდნობი პუნქტი რუსეთის მუშათა და გლეხთა რევოლუციის წინააღმდეგ. გათახსირებულ იუნკერთა წარმომადგენელი მირბახი მოსკოვში თავის თავს სთვლიდა მეგობარ და მფარველათ არა მარტო სკოროპადსკისა, არამედ — ჩხენკელის და ჟორდანიასაც. სახელდობრ, მოითხოვა საბჭოთა მთავრობისაგან, რომ გაემართა მას მოლაპარაკება ჯერ ეგრეთ წოდებულ ამიერ კავკასიის სეიმთან და შემდეგ საქართველოს ახალ მთავრობასთან. ეურჩინობოდა რა გერმანიის ხიშტებს ჟორდანიას მთავრობა, დამსჯელ რაზმებს გზავნიდა სოხუმის მუშების და აფხაზეთის გლეხების წინააღმდეგ, სისხლში ახრჩობდა საქართველოში სახალხო მოძრაობას, ხვრეტდა თფილისში მუშებს, აწარმოებდა გამანადგურებელ ომს იმათ წინააღმდეგ, ვინც განმანთავისუფლებელ ბრძოლას აწარმოებდა, ცეცხლით და მახვილით აჩრობდა გადაგვარებულ ცეცხლს ასე რომ, ოსმალეთის ჯარების, კრილოვების დროს არაფერია ჯუღელის, ჯიბლაძის და კანის საქმეებთან და იმ დროს, როდესაც შავი ზღვის პირის მშრომელნი, ერთგულნი საბჭოთა მთავრობისა, სთხოვდნენ შველას ყუბანში მყოფ საბჭოთა ჯარებს, ამას ხელი შეუშალა გერმანიის ფლოტმა, რომელმაც შეძლება მისცა ჟორდანიას მთავრობას, სისხლით და მახვილით დაეხშო შავი ზღვის გუბერნიის ხალხური მოძრაობა.

ჟორდანიას მთავრობამ თითონ მოიწვია საქართველოში გერმანიის იმპერიალიზმის საბრძოლო ძალები და მას ყოველთვის ბრმა იარაღათ ემსახურებოდა. საქართველოს მთავრობა შველოდა მათ გაევრცელებინათ თავიანთი ბატონობა ჩრდილოეთისაკენ, ის უხსნიდა გზას გერმანელებს იმ ოლქებში, სადაც საბჭოთა ძალა-უფლებისათვის იბრძოდნენ, სახელდობრ ჩრდილო კავკასიის მთიელებში იმ დროს, როდესაც ბაქო იცავს და დაანგრიეს ოსმალთ ჯარის კაცებმა, ამ დროს აღერბეიჯანის კონტრ რევოლუციის წარმომადგენელ ჯაფაროვს ულოცავდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჟორდანია ამის გამო. ამის შემდეგ ასეთივე ზეიმით გაუმასპინძლდა საქართველოს მთავრობა ოტომანის იმპერიის ჯარების სარდალს ხალილ ფაშას თფილისში. ტყიბ. მაღარ. გაფიცულ მუშების წინააღმდეგ, რომელნიც თავიანთ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის იბრძოდნენ, ჟორდანიას მთავრობამ მიიღო დრაკონის რეპრესიები და თავის ორგანო „ბორბა"-ს მოწინავეებში მათ ტალახით სვრიდა. მაშინ, როდესაც ჯარი იმპერიალისტური კოალიცია კიდევ ერთი მეორეს სამკვდრო-სასიცოცხლოთ ებრძოდა, ისინი თავისი მოსყიდული აგენტების სახით ერთი მეორეს ხელს უწყობდენ. როდესაც ლაპარაკი იყო მუშათა და გლეხთა რუსეთის წინააღმდეგ შეტევას შესახებ დონზე გერმანიის და ინგლისის მოსყიდულნი ხელი ხელ ჩაკიდებულნი იბრძოდენ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. ასევე კავშირს ეძებდა ჟორდანიას მთავრობა არა მარტო გერმანიის იმპერიალიზმის აგენტებთან, არამედ—ინგლის საფრანგეთის იმპერიალიზმის აგენტებთანაც. ზარდინის და სხვა ფრანგ ოფიცრების მოხსენებები იმას მოწმობენ, რომ ამ მთავრობაში ისინი ხედავდენ ერთ ერთ სასურველ ძალას მუშათა და გლეხთა რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის მოსაწყობათ. იმ დროს, როდესაც გერმანელთა ძალები თავს იყრიდენ საქართველოს სამხედრო გზაზე და მუშათა და გლეხთა ძალა-უფლებისათვის მებრძოლ მთიელებს ემუქრებოდენ, ინგლისელების მისია თანაბრად ინტრიგებს აწარმოებდა საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ და მას მხარს უჭერდა გეგეჭკორის მთავრობა; მისიამ ხელი შეუწყო კონტრ-რევოლუციონურ მოძრაობას მთელ კავკასიაში. გერმანიის იმპერიალიზმის დამხობამ არავითარი ცვლილება არ შეიტანა ჟორდანიას მთავრობის პოლიტიკის სისტემაში; ამან მხოლოდ წინანდელ კონტრ-რევოლუციონურ მფარველის ადგზე ახალი მფარველი—ანტანტა დააყენა. ჩრდილო-კავკასიისა და ყუბანის საარხივოები და მასიური... (გამოტოვებულია) ძირითად მოწმობენ მოწმებრივ სიკვდილს წითელ არმიელებისას, რომლებიც საბჭოთა მთავრობის მოწინავე მებრძოლებით და რომლებიც პოლკოვნიკ წერეთელმა გადასცა ხელიერთი მონათესავე დენიკინის მთავრობას. საკმაოთ ბევრი მეტყველური მასალები მიიღო საბჭოთა მთავრობამ ტყვეობის იმ საზარელ მძიმე პირობების შესახებ, რომელშიაც მოექცნენ ჟორდანიასა და გეგეჭკორის მთავრობის ხელში ჩავარდნილი წითელ არმიელები და ამის შესახებ კიდევ ცნობა თავის დროზე თფილისს. ასეთია სინამდვილე, რომელიც სინამდვილესთან შეუფერებელ ფრაზებში გახვეული საგარეო საქმეთა მინისტრის გეგეჭკორის ოლდ-დეპეშაში. მიუხედავათ ყველაფრისა, რუსეთის მუშათა და გლეხთა მთავრობა იმედოვნებდა, რომ გეგეჭკორის მთავრობა ვერ გაბედავდა უარი ეთქვა ერთად ბრძოლაზე რუსეთისა და საქართველოს მშრომელ მასის საერთო მტრის წინააღმდეგ ამის მაგიერათ, საგარეო საქმეთა მინისტრმა გეგეჭკორმა საბჭოთა მთავრობისადმი პასუხში გაიმეორა ძველი ბრალდებები; უპასუხა ხაყველდრებით და სიძულვილით სავსე თავდასხმებით. მაშინ, როდესაც რუსეთის საბჭოთა მთავრობა იმედოვნებდა, რომ საქართველოს მთავრობა იმოქმედებდა მეფის რესტავრაციის წინააღმდეგ,— საგარეო საქმეთა მინისტრი გეგეჭკორი უპასუხებს იმით, რომ იმედს გამოსთქვამს, რომ საბჭოთა მთავრობა მონახავს მისთვის მისაღებ სალაპარაკო ენას. საბჭოთა მთავრობა ეძებს არა ენას, არამედ—მოქმედებას ჟორდანიასა და გეგეჭკორის მთავრობისას, (რომელზედაც?) დამოკიდებული იქნება რუსეთის საბჭოთა მთავრობის ურთიერთობა მასთან. № 432.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ჩიჩერინი.

საგარეო საქმეთა სამინისტროსაგან. ნოტაში არის ზოგიერთი დამახინჯებული ადგილი, რომლის გასწორებაც არ მოხერხდა.

ახალი ამბები

მთავრობის თავმჯდომარეს ახალციხიდან შემდეგი დეპეშა მოუვიდა: „ჩემ მიერ მოწვეული მაზრის ყველა სოფლების წარმომადგენლებმა მთხოვეს გადასცე საქართველოს ხალხსა და მის მთავრობას ძმური სალამი და დიდი მადლობა ჯარის გამოგზავნისათვის. ასეთივე სულიერი განწყობილება სუფევს არტაანსში და ართვინში, სადაც მივდივართ. დამფ. კრების წევრი გ. ანჯაფარიძე.

◆ **იტალიის მისიის გაცილება.** 14 მარტს იტალიის სამოქალაქო მისია ბათომით რომს გაემგზავრა. თფილისის სადგურიდან მისია გააცილეს: ფინანსთა მინისტრმა კ. კანდელაკმა, საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგმა, გენერალ ჯაფარიძემ, იტალიის ელჩმა და თფილისში მცხოვრებ იტალიელთა წარმომადგენლებმა.

◆ მოკავშირეთა უმაღლესი კომისარი ჰასკელი 13 მარტს თავისი შტაბით ბორჯომს გაემგზავრა. ჰასკელმა მატარებელი გააჩერა გორში და დაწვრილებით დაათვალიერა ნანგრევები.

◆ **ქართული სოფლების აოხრება.** შირაქისა და ელდარის ველიდან ჩამოსული ქართველ-მთიულების დელეგაციის გადმოცემით, აღერბეიჯანის მოსაზღვრე მცხოვრებლები, მილიციის დახმარებით, ქართულ სოფლებიდან მიერეკებიან ჯოგს, ართმევენ იარაღს და სხვ. და მოითხოვენ ქართველებისაგან, რომ ისინი გადასახლდენ ხსენებულ სოფლებიდან.

◆ **გიორგი გუჯეჯიანის საქმე.** რომელსაც საჩხერის რაიონის სადაო სამართლის მიერ მისჯილი ჰქონდა 6 წლის კატორღა ა) წ. მარტის 9 ს განიხილა სენატმა და დაადგინა: თანახმად სენატის დებულების 1, 4 და 6 მ. მ. და აგრეთვე ს. ს. წ. წ მე 14 მ. საჩხერის რაიონის სადაო სასამართლოს 22 დეკემბრის 1919 წლის განაჩენი შესახებ გიორგი გუჯეჯიანისა გაუქმებულ იქნეს, მთელი საქმე და მისი წარმოება არსებულის წესით მოსპობილად იქნეს აღიარებული. მიეცეს პალატის პროკურორს, ბ. იუსტიციის მინისტრის საშუალებით, წინადადება დაუყონებლივ გუჯეჯიანი განთავისუფლებულ იქნეს ციხიდან და სრულიად სასჯელისაგან. მხოლოდ, თუ კი გუჯეჯიანს მიუძღვის რაიმე დანაშაული მთავრობისა და სახელმწიფოს წინაშე, პროკურორის ზედამხედველობას უფლება და საშუალება აქვს მისცეს გუჯეჯიანის საქმეს კანონიერი მსვლელობა. საჩხერის რაიონის სადაო სასამართლოს უკანონო მოქმედების შესახებ ეცნობოს ბ. სამხედრო მინისტრს სათანადო განკარგულების მოსახდენად.

◆ **სახალხო უნივერსიტეტში.** დღეს, სამშაბათს 16 მარტს, წაიკითხავენ ლექციას:

მე 3 განყოფილებაში — ჩუღურეთში 1) ალ. წერეთელი—ასტრონომია, 2) ექ. ცეცხლაძე—საფეხო ჯანმრთელობაზე.

ცენტრში (პლეხანოვის პრ. № 123) 1) ექ. ტურიაშვილი—ჰიგიენა, 2) ვას. ბარნოვი—ქართული მწერლობა.

◆ **ახალი წიგნები:** რედაქციამ მიიღო გრ. ნათაძის „პირველყოფილი კულტურა" პირველი კლასის კურსი. წიგნი დასურათებულია, შეიცავს 118 გვერდს. კარგ ქაღალდზეა დაბეჭდილი. ღირს 25 მ. მიიღო აგრეთვე ჭლექთან მებრძოლ საზოგადოების მიერ „ჭლექი და მასთან ბრძოლა" ბროშურა სურათებით არის გამოცემული, შეიცავს 27 გვერდს და ღირს 10 მ.ნ.

◆ 29 თებერვალს ნაძალადევის თეატრში შესდგა კრება ყოფილ განსაკუთრებულ რაჭა ლეჩხუმის რაზმისა, რომლის მიზანი იყო რაზმის არსებობის დროის ანგარიშების ლიკვიდაციის მოხდენა. მოხსენების შემდეგ კრებამ დაამტკიცა ანგარიშები, მასთან რაზმის სახელით შესწირა მოკლულ და დაჭრილებულ ამხანაგების დალოცვ აბელიდიანის ქვრივს 1000 მ., იასონ კაბოსნიძეს 1000 მ., სიმონ დარახველიძის მამას 500 მან., ქუთაისის სახალხო სახლს 1000 მ., ქუთაისის ხიდს 448 მ. 10 კაპ., სადგურის დამწვ. სკოლას 500 მან.. ამას გარდა ბატ. გრიგოლ ლისაშიძემ ქუთაისის ხიდს შესწირა 1000 მ. ვიკტორ გაბაშიძემ ქუთაისის სახ. სახლს 500. ამ კრებაზე სხვათა შორის შემოიტანეს საჩივარი იმ მეორე რაჭა-ლეჩხუმის რაზმის წევრებმა, რომლებიც შემდგარიყო თფილისში სომხეთთან ომის დროს შოთა რუსთაველის პარტიის სახელით; ვინაიდან მათ დღესაც აქვთ ბეჭედი და რაჭა ლეჩხუმის განსაკუთრებულ რაზმის სახელით სჩადიან სხვადასხვა ბოროტებას და ზოგიერთ მოქალაქეს აბამენ სხვადასხვა მახეში. ამისათვის ეს კრება აცხადებს რაჭა ლეჩხუმის და თფილისის მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ პირველი განს. რაჭა ლეჩხუმის რაზმმა, როგორც შესრულდა დავალებული საქმე თფილისში დაბრუნებისთანავე მოახდინა რაზმის ლიკვიდაცია, ამხანაგები დაუბრუნდნენ თავიანთ საქმეებს და მათ მეორე შემდგარ შოთა რუსთაველის რაზმთან არავითარი რაჭა ლეჩხუმის რაზმი არ არსებობს. რაჭა ლეჩხუმის განს. რაზმის ყოფილი შტაბი.

◆ **„გორის ფონდი".** მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ რედაქციამ მიიღო: საქალაქთაშორისო ელექტრონის სახელით X მიერ შემოტანილი 100 მ., ქუთაისის სამეურნეო სასწავლებლის მოწაფე მასწავლებლებში შეგროვილი 1125 მ. შემოსწირეს: 50 მ. ა. ებანოიძემ, მ. კეცხოვემ, ა. კარტოზიამ, ნ. სტურუამ, ს. წიქვაძემ, 30 მ. ი. თალაკვაძემ და მ. ჩხარტიშვილმა. 25 მანეთი: ი. კობაიძემ, ი. დარბაიძემ, შ. მანაშიძემ, ა. პაკვატაძემ. ოც-ოცი მანეთი: ა. მელაძემ, ბ. ხავთასმა, ი. ღლონტიძემ. თხუთმეტ-თხუთმეტი: ე. ურუშაძემ, ე. კიბულიანმა და ა. ჯაყელმა. ათი მ. ოლ. მაჭარაშვილმა; მასწავლებლებმა: ა. შარაშიძემ 300 მ., ბ. ჩხაიძემ 200 მ. და ნ. ყურაშვილმა 100 მ., ჯავშნიან მატარებელ № 1 გვარდიელებში შეგროვილი 1028 მ., ხარფუხის ვაჟთა-ქალთა სახალხობის სკოლის მშობლებთა 29 თებერვალს შემდგარ კრებაზე შეგროვილი ათას შვიდას ცხრამეტი მანეთი. შემოსწირეს: 100 მანეთი მ. კაველაშვილმა, ნ. მამულაშვილმა, ი. ბაქანაძემ, ა. ჩხარტიშვილმა, ა. ჯანელიძემ, ე. [illegible]ძისამ, ვ. ქეშიშოვი, გ. ფირალიშვილი, ს. ბაბუნაშვილი, ვ. ჩხენკელი, ნ. ჯაყელიანი, ე. ბებიაშვილი, ს. ქაჯაია, ი. ძიძიგური, ბ. კვანტალია, მოქალაქე ე. სანიკიძეშვილმა 44 მანეთი. 30 მ. ა. აკოფაშვილმა, ვ. ხუთაურმა, ე. პეტრიაშვილმა. 20 მანეთი—ფ. დევდარიანმა, ე. ხომასურიძემ, ს. ხრიკულმა, მ. [illegible]ნაშვილმა, შ. [illegible]ქოვმა, ც. ნადირაშვილმა, ტ. კოპილაშვილმა, ა. ძუძუაშვილმა. 16 მანეთი—გ. ბურდულაძემ, [illegible] წვერიკოვმა. ლ. საგინელიძემ, მ. [illegible]ოვმა 15 მანეთი 3. ცაგურიშვილმა 11 მანეთი. 10 მანეთი—მ. ქიზიშოვმა, ა. ქეშიშოვმა, მ. პირკულაშვილმა, ე. ეფრემაშვილმა, ო. მელიქიშვილმა, ო. ალიყულაშვილმა. 5 მანეთი—ნ. აზარიაშვილმა, ნ. ჩიტაძემ, ნ. [illegible]ნაშვილმა. მ. მელიქიშვილმა 6 მან.

— ცეცხნა ჯაიძისგან, თამარა ვაჩნაძისგან და ლიზიკო ხომასურიძისაგან მივიღეთ მეოთხე რაიონის მუშათა კლუბში გამართული საღამოს წარმოდგენის შემოსავალი 800 მ. გორში მიწის ძვრისაგან ობლათ დარჩენილ ბავშვებისათვის.

— ლევან სოლომონის ძე მაისურაძე, გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ გუშინწინდელ ჩვენს გაზეთში მოხსენებული ლევან მაისურაძე, რომელიც საქართველოს სამხედრო გზაზე თავდასხმის დროს იქნა შეპყრობილი და რომლის მამის სახელი არ ყოფილა გაზეთში მოყვანილი, სოლომონის ძე არ არის.

პროვინციის ქრონიკა

ხ. შუხუთში (ოზურგეთის მაზრა), გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება ყოველგვარი კორესპონდენციის გაცვლა-გამოცვლის აწარმოებს ლანჩხუთის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორასთან, რომელზედაც დაშორებული 4 ვერსით.

ქუთაისი

სამშაბათს, 16 მარტს მუშათა პროფესიონალურ კავშირთა კლუბის „ინტერნაციონალი"-ს დარბაზში საღამოს 7 საათზე, დანიშნულია საგანგებო კრება ქუთაისის სამუსიკო საზოგადოებისა. განსახილველია: 1) გამგეობის მოხსენება საზოგადოების საქმეების მდგომარეობაზე. 2) ანგარიში საზოგადოების ნივთიერ მდგომარეობის შესახებ. 3, საკითხი თფილისის ცენტრალურ სამუსიკო საქმეების მართველობასთან გაერთიანებისა. 4) არჩევა დელეგატისა თფილისის სამუსიკო საზოგადოების 21 მარტის კრებაზე დასასწრებლად. 5) საწევრო გადასახადის მომატება. 6) არჩევა გამგეობის თავგენებულ სამაგიერო წევრებისა. 7) მიმდინარე საქმეები. რადგან ზემორე ჩამოთვლილი საკითხები ერთი მეორეზე უფრო [illegible] გადასაწყვეტი საზოგადოების [illegible] მუსიკო სასწავლებლის უკეთ მოსაწყ[illegible] რიგებლათ,—ამისათვის გამგეობა უმორ[illegible] ჩილესათ სთხოვს ყველა წევრებს სამ[illegible] სიკო საზოგადოებისას და ქართულ ს[illegible] მუსიკო ხელოვნების აღორძინების დამ[illegible] მონატრულე უეჭველად დაესწრონ სამშაბათის კრებას, რათა გამგეობას[illegible] თან ერთად გამოიმუშაონ სამდროდ საჭირო ზომები დასავლეთ საქართვე[illegible] ლოს ცენტრ ქუთაისში ამ კულტურულ საქმის მოსაგვარებლათ, მის მკვიდ[illegible] ნიადაგზე დასაყენებლად.

უცხოეთი

ინგლისი.

დანაშაულობათა ზრდა. ინგლისშიაც როგორც სხვა ქვეყნებში, ომს შედეგად მოყვა დანაშაულობათა ზრდა; ძარცვა გლეჯას ადგილი აქვს დღისითაც და ღამითაც; თავს ესხმიან და ძარცვავენ ფოსტებს, კინემატოგრაფებს, თეატრებს და სხვ. ინგლისის მთავრობა ენერგიულ ზომებს იღებს დანაშაულობათა წინააღმდეგ; დამნაშავენი, გარდა ციხეში დაპატიმრებისა, ისჯებიან „როზგით" სასამართლო ვერ ასწრებს საქმეების გარჩევას.

ინდოეთი.

გერმანია ინდოეთის ბაზარზე. ინდოეთის ქალაქ ბომბეიდან ატყობინებენ გაზ. „ტაიმსს", რომ გერმანია თანდათან შესამჩნევ ადგილს იკავებს ინდოეთის ბაზარზე. იანვრის ბოლო რიცხვებში გერმანელებმა პირველი პარტია შეიტანეს თავიანთ ნაწარმოებისა, განსაკუთრებით შუშეულობა. ინდოელი ვაჭრებიც თანაგრძნობით ეპყრობიან გერმანიას და ზოგიერთ ფირმამ უკვე დაიწყო საქონლის, განსაკუთრებით ნედლ მასალის გაზიდვა გერმანიაში. უკანასკნელ ხანებში გერმანიაში გაიგზავნა დიდძალი გადამუშავებელი ბამბა.

აღერბეიჯანი.

რუსთა ნაციონალურ საბჭოში. [illegible] მარტს მოხდა პირველი დამფუძნებელი კრება აღერბეიჯანის რუსთა ნაციონალური საბჭოსი. ნაციონალურ საბჭოში არჩეულ იქნა 27 კაცი; ამათში 10 ს. დემოკრატები, 1—ს.-რევოლუციონერები და 3 უპარტიო გლეხი. საქართველოს დამფუძნებელ კრების სახელზე საბჭომ გაგზავნა დეპეშა, რომელშიაც თანაგრძნობას უცხადებს საქართველოს დემოკრატიას იმ უბედურების გამო, რომელიც მიწის ძვრამ არგუნა მას.

აგრარულ რეფორმისათვის. სამიწათმოქმედო სამინისტროს აგრარულ რეფორმათა განყოფილებამ მინისტრთა საბჭოში კანონპროექტი შეიტანა, რომლის თანახმადაც კერძო მესაკუთრეთა მიწები უნდა გადავიდეს სახელმწიფო ფონდში და აქედან უზრუნველყოფილი იქნეს მამულით უმიწაწყლო მცხოვრებნი. სოფლების და აგრეთვე ქალაქების ის მიწები, რომლებსაც სასოფლო-სამეურნეო მიწების ხასიათი აქვთ, ჩამორთმეული იქნება სრულიათ უფასოთ, გარდა იმ ნორმისა, რომელიც განსაზღვრულია სოფლებისთვის 7—50 დეს., ხოლო ქალაქებისთვის 1 ნახ.—12 დესეტინით. ტყეები სავსებით ჩამოერთმევა მეპატრონეებს. სახელმწიფო ფონდიდან მიწა გადაეცემა უმიწაწყლო და მცირე მიწის პატრონ მოქალაქეებს სრულიათ უსასყიდლოთ. აგრარულ რეფორმის ცხოვრებაში გასატარებლათ არჩეული იქნება ადგილობრივი საადგილმამულო კომისიები: სამაზრო და სარაიონო.

გერმანია.

პროფესიონალურ მოძრაობის პრინციპები. გერმანიის პროფესიონალურ მოძრაობის საყოველთაო გაერთიანების გამგეობამ პროფესიონალურ კავშირთა კონგრესის დადგენილებით განიხილა პროფესიონალური მოძრაობის ძირითადი პრინციპები და შემდეგი დებულებები გამოიმუშავა: პროფესიონალურ კავშირთა შემადგენლობა. კავშირი შესდგება ერთ რომელიმე პროფესიის დაქირავებულ მუშებისაგან. სამუშაოს მიმცემნი არ შეუძლიათ იყვნენ კავშირის წევრათ; გამონაკლისს შეადგენენ მხოლოდ ისინი, ვინც კავშირის წევრებათ იყვნენ და შემდეგ გახდნენ ხაზეინებათ; მაგრამ ასეთი პირები არ შეიძლება არჩეულ იქნენ ხელმძღვანელ ორგანოებში და კრებებზე არა აქვთ გადამწყვეტი ხმის უფლება. მმართველობა. კავშირის მმართველებათ არიან დაქირავებული მუშები. მიზნები. კავშირი მიზნათ ისახავს სამუშაო პირობების გაუმჯობესებას და მუშათა ეკონომიურ და უფლებრივ მდგომარეობის გაჯანსაღებას. საშუალებები. ამ მიზნების მისაღწევათ გამგეობას საჭიროთ მიაჩნია: 1) მოლაპარაკება სამუშაოს მიმცემებთან და მათ ორგანიზაციებთან; სატარიფო და საერთო კოლექტიური ხელშეკრულებათა შეკვრა; 2) გაფიცვის მოწყობა იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკება მიზანს ვერ აღწევს; 3) გონებრივი და პროფესიონალური განვითარება; 4) ურთიერთი დახმარება; 5) ბრძოლა მუშათა ჯანმრთელობის განვითარებისათვის. კავშირის ფინანსიური წყარო საწევრო

გადასახადი შეადგენს. კავშირს არ შეუძლიან ისარგებლოს სამუშაოს მიმცემთა დახმარებით.

ავსტრია.

წარმოების სოციალიზაციის გარშემო. გაზ. „ნოიე ფრაიე პრესსა"-ში მოყვანილია დ-რ ბაუერის მოხსენება წარმოების სოციალიზაციის შესახებ, რომელიც მან გააკეთა ნაციონალურ კრების საბიუჯეტო კომისიაში. ბაუერმა მოხსენება გააკეთა სახელმწიფო კომისიის სახელით, რომელმაც უნდა შეიმუშაოს კანონ-პროექტი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნეს გატარებული წარმოების თანდათანობითი სოციალიზაცია. კომისიის აზრით სოციალიზაციის გატარება მხოლოდ შერეულად შეიძლება: წარმოებაში მონაწილეობას მიიღებენ ერთი და იმავე დროს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო ორგანიზაციებიც. ამ გვარად შეიქნა გაერთიანებული ტყეეულობის ქარხანა. გასულ წლის ივლისიდან სოციალიზაციაზე მუშაობა შეჩერებული იქნა; სოციალიზაცია გატარებულ იქნა მხოლოდ ორ ვიწრო ხასიათის დაწესებულებებში. სოციალიზაციის საქმე შეფერხდა არა იმდენათ შინაური მიზეზებით, არამედ— უმთავრეს ნაწილათ იმით, რომ ავსტრიის წარმოება ერთიანად მოკავშირეთა კაპიტალზეა დამოკიდებული. ასეთი დამოკიდებულება შექმნა ერთი მხრით საზავო პირობებმა და მეორე მხრით ეკონომიურმა კრახმა, რომელიც ომმა გამოიწვია ავსტრიაში. ამ გარემოებით აიხსნება, სხვათა შორის, ის მოვლენაც, რომ ზოგიერთი პროვინციები სოციალიზაციის წინააღმდეგ მიდიან.

მომარაგების სამინისტროსაგან

უკანასკნელ ხანებში მომარაგების სამინისტროს მოღვაწეობა შეიქნა კრიტიკის საგნათ როგორც პრესისა, აგრეთვე სხვადასხვა კრებების და ყრილობებისა. საზოგადოთ დიდ ყურადღებას იპყრობს მონოპოლიების საკითხი, რომლებშიც გადახლართულია სხვადასხვა ჯურის ინტერესები კერძოთ მთავარი ყურადღების საგნათ გამხდარია თამბაქოს მონოპოლიის საკითხი.

სამინისტროს არამც თუ არაფერი აქვს საწინააღმდეგო კრიტიკის, პირიქით, მას ჯეროვან ყურადღებას აქცევს. მაგრამ მას უფლება აქვს მოითხოვოს, რომ მა. შეცდომებათ ჩაეთვალოს მხოლოდ მისივე მოქმედებით გამოწვეულნი ფაქტები და კრიტიკოსები დაეყრდნონ მხოლოდ ისეთ ფაქტებს, რომელნიც სინამდვილესთან ახლოს არიან. საუბედუროთ, ასეთი სამართლიანი სურვილები ხშირად არ მართლდებიან. სანამ ბრალდებები გადმოსროლილნი იყვნენ უპასუხისმგებლო და ხშირად პირდაპირ დაინტერესებულთა წრეების მიერ, მომარაგების სამინისტრო არ თვლიდა საჭიროთ პასუხის გაცემას. ყველა მიუდგომელ მოაზროვნეთათვის ისედაც ნათელი იყო ნამდვილი შუნება ასეთ ბრალდებებისა, მაგრამ როდესაც ბრალდებებით (ნამდვილათ კი გამოსვლებით) აგებულ სინამდვილესთან დაშორებულ ფაქტებთან გამოდის პიროვნება, რომელსაც უჭირავს ოფიციალური მდგომარეობა რესპუბლიკაში (იხ. წერილი ს. ქვარიანისა „თამბაქოს მონოპოლია" „ვოზროჟდენიე" 25—11 1920 წ.) მომარაგების სამინისტრო იძულებულია პასუხი გასცეს ასეთ გამოსვლებს, რათა ნიადაგი მოესპოს სხვადასხვა ჭორების გავრცელებას.

დავიწყოთ თუნდაც ს. ქვარიანის წერილიდან „თამბაქოს მონოპოლია", რომელიც უმეტეს შემთხვევაში სავსეა ცნობებით, რომელნიც შეეხებიან იმ დროს მოქმედების შედეგებს, როდესაც მონოპოლია და თვით მომარაგების სამინისტრო არც კი არსებობდენ, ინგარიში უნდა გაეწია იმას, თუ რა შესძლო გაეკეთებინა მას ასეთ პირობებში იმ სამი თვის განმავლობაში, რომლითაც ამოიწურება მთელი მისი აქამდე არსებობა. ბ. ს. ქვარიანის ბრალდებები მთლად აშენებულია სიმართლესთან დაშორებულ ფაქტებს.

თუმცა-ღა სახელმწიფოს ხელში უკვე გადავიდა საგრძნობი პარტია უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომთ კუთვნილი თამბაქოსი, მაგრამ ბ. ს. ქვარიანი ნიუხედავათ ამისა ფიქრობს, რომ მონოპოლია არ ვრცელდება უცხოელებზედ. საქართველოს ქვეშევრდომთა კუთვნილი თამბაქო მას აქვს ნავარაუდევი 50000 ფუთამდე, როდესაც ნამდვილათ რამდენჯერმე მეტია ამ ციფრისა. ასეთი შემცდარი ანგარიშებით და წარმოდგენით ბ. ს. ქვარიანი მიდის დასკვნამდე, რომ ყველა შედეგები მონოპოლიისა ბოლოს ამოიწურება მით, რომ მომარაგების სამინისტრო „გადაცქვნის თავის მოქალაქეებს", რომელთაც ჩამოართმევს უმნიშვნელო ნაწილს, საერთო რაოდენობისას, 11—15 ჯერ ნაკლებ ფასში ევროპიულ ფასებთან შედარებით.

მდგომარეობიც და ევროპიულ ბაზარზე არსებული ფასების (რომელიც საგრძნობლად გაზვიადებულია ბ. ს. ქვარიანის მიერ) განსხვავება იწვევს ავტორში არაჩვეულებრივ აღშფოთებას. მისი სიტყვით ფუთი თამბაქო ევროპაში ღირს 8—15 ათას მანეთამდე მაშინ, როდესაც ნამდვილათ ფასი ორჯელ ნაკლებია. განსხვავება, უნდა ვთქვათ, ძლიერ საგრძნობია. კითხვის გასარკვევათ მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას შემდეგი: 1919 წლის მოსავალი ჯერ არ არის დამზადებული და ბაზარზე არ გამოსულა. ამ ჟამად არის თამბაქო 1916—1918 და უფრო ადრე წლებისა. ფაქტიურად მხოლოდ ამ თამბაქოზე ვრცელდება გამომუშავებული ფასები. მაგრამ აღნიშნულ წლების მოსავლებიდან მეთამბაქოეთა— მწარმოებელთა ხელში თითქმის არაფერი დარჩენილა. მთელი ეს თამბაქო, მცირე გამოკლებით, უკვე დიდი ხანია შესყიდულია და ეკუთვნით ვაჭრებს, რომლებსაც გადახდილი აქვთ მასში გაცილებით ნაკლები, ვიდრე მათ აძლევს მთავრობა.

არც ერთი სახელმწიფო დღეს შიგაზე არ სცნობს საქონლის და ქონებათა მეპატრონეთა უფლებას გაზრდილ ღირებულებაზე იმდენათ, რამდენათ ეს ზრდა გამოწვეულია ფულის ნიშნების ღირებულების დაცემით. მით უმეტეს, უსამართლო იქნებოდა გვეცნო თამბაქოს მეპატრონეთა უფლება ევროპაში არსებულ ფასებზე: 1) იმისათვის, რომ ღირებულება ჩვენი ფულისა საზღვარ გარეთ დაცემულია უფრო მეტად, ვიდრე ჩვენში. თამბაქოს მეპატრონეებს უცხო ვალიუტის გადახურდავებით ჩვენში შეეძლება მიეცემოდა კიდევ გადაჭარბებული შესყიდვით საშუალებანი; 2) იმისათვის, რომ საქართველო ომის გამო მოწყვეტილი იყო ბაზარს და [illegible] თამბაქოს მეპატრონეებმა შეისყიდეს ის ძლიერ დაბალ ფასებში. სამართლიანი იყო სურვილი თამბაქოს დამმუშავებელთა, რომ დღევანდელ თამბაქოს მეპატრონეებს არ მიეღოთ თამბაქოში დიდი ფასები, ფასს, რომელსაც ეხლა აძლევს მთავრობა თამბაქოს პატრონებს, პლანტატორებს ძლიერ მაღალ ფასებად მიაჩნია. ბ. ქვარიანი კი ამას „გადაცქვნას" უწოდებს.

ბ. ს. ქვარიანი ამბობს „ამ მონოპოლიებმა და რეკვიზიციამ იმდენათ დაფურთხა ხალხი, რომ არავინ აღარ ფიქრობს თამბაქოს დამუშავებისას." მომარაგების სამინისტრო არ უარყოფს, რომ შესყიდვამ თამბაქოს მეტად ფასებში ზოგი შეაფიქრიანა. მაგრამ ზემონათქვამიდან ნათელია, რომ შეაფიქრიანა არა თამბაქოს მომუშავენი. მომარაგების სამინისტრო მომავალ მოსავლების ჩამორთმევას სრულიად არ ფიქრობს თვით ღირებულების ნაკლებ ფასებში, წინააღმდეგ, უკვე არსებობს დადგენილება მთავრობისა, რომლის თანახმად თამბაქოს დამუშავებულ გარდა თამბაქოს თვით ღირებულობისა (რომელსაც მწარმოებელნი უკვე [illegible] მიიღებენ) შესყიდვის დროსვე [illegible] გარანტია 30—50 პროცენტი მისი მოგებიდან მიიღონ, ეს გაკეთდა არა მალულად, არამედ თვით მეთამბაქოეთა წარმომადგენლების თანდასწრებით.

ბ. ს. ქვარიანი ამტკიცებს, რომ წინააღმდეგ მომარაგების სამინისტროს დღევანდელ პოლიტიკასა, თამბაქოს გასაღების საქმე უნდა მოეწყოს როგორც მარგანეცისა. ესე იგი, დაინტერესებულ პირთა მონაწილეობით. მომარაგების სამინისტროსაც სწორეთ ასეთი პოლიტიკა გაჰყავს და ეს ბატონმა სიმონ ქვარიანმაც უწყის. ჯერ კიდევ იანვარში, მომარაგების სამინისტროს მთავარ რწმუნებულის ი. დ. კიასაშვილის ინიციატივობით, ქ. სოხუმში პლანტატორთა კავშირის წარმომადგენლების მონაწილეობით შესდგა სხდომა, რომელზედაც მუშავდებოდა კითხვა, თუ როგორის საშუალებით შეიძლებოდა პლანტატორთა-მწარმოებელთა მტკიცე კავშირის შექმნა, რომელიც მონაწილეობას მიიღებდა მთავრობასთან ერთად თამბაქოს რეალიზაციის საქმეში.

მარგანეცზე მონოპოლიის გამოცხადების დროს მარგანეცის მწარმოებელთა ორგანიზაცია უკვე არსებობდა და ამიტომ შესაძლებელი იყო მათი მიწვევა მონოპოლიის განხორციელების საქმეში. მეთამბაქოეთა ორგანიზაცია კი არა არსებობდა და მას ჯერ კიდევ შექმნა სჭიროდა. თუ მხედველობაში მივიღებთ თამბაქოს წარმოების სპეციალურ პირობებს, რომელნიც გამოიხატებიან წარმოების დანაწილებაში და სხვ., მეთამბაქოეთა მტკიცე ორგანიზაციის შექმნა ერთ დღეში შეუძლებელი ხდება.

ბ. ქვარიანი წინადადებას იძლევა რა, გამოიყენოთ გამოცდილება მარგანეცის მონოპოლიის საქმის მოწყობისა, სურს თამბაქოს საქმეში იყოს შეტანილი ერთი განსხვავება, საქმეში მიწვეულნი უნდა იყვნენ მისი აზრით არა თამბაქოს მწარმოებელნი, არამედ თამბაქოს მეპატრონენი, (შემყიდველნი) მაგრამ როგორც ნ. გ. თავდგირიძის მოხსენებიდან ჩანს მეთამბაქოეთა ყრილობაზე („ვოზროჟდენიე" 4—3 1920 წ.) წაკითხულიდან, დამოკიდებული მწარმოებელნი თამბაქოსი, რომელთაც არა აქვთ კავშირი ექსპორტიორებთან, ამ ჟამათ არ [illegible]. მისი სიტყვით, მოსავალი თამბაქოს ვიდრე ბაზარზე გამოვიდოდეს აღარ ეკუთვნის პლანტატორს. ბ. ს. ქვარიანის მიერ რჩეული გზით თამბაქოს მესაკუთრეთა ორგანიზაციის შექმნით, თვით თამბაქოს მწარმოებელნი (პლანტატორები) წარმოდგენილნი იქნებოდენ ძლიერ სუსტათ, რამდენათაც ისინი მაინც შესძლებენ მონაწილეობის მიღებას. არის საბუთები ვიფიქროთ, რომ ორგანიზაციაში შემაერთებელნი პლანტატორ მწარმოებლებს, და ვაჭარ-ექსპორტიორებისა აუცილებლად ისინი თავს [illegible] ვაჭრების მხრივ, რომელთაც ხელს შეუწყობს კაპიტალი. ესე იგი, ისეთი ორგანიზაცია უფრო ხელსაყრელი იქნებოდა არა მწარმოებელთათვის, არამედ ექსპორტიორ ვაჭრებისათვის. ამის გამო სამინისტრომ ვერ ნახა საქმის სასარგებლოთ მიემართა იმ საშუალებისათვის, რომელსაც გვირჩევს ბ. ს. ქვარიანი. სამინისტროს აზრით მონოპოლიის განხორციელების საქმეში მიწვეულნი უნდა იქმნენ მხოლოდ თვით პლანტატორები თამბაქოს დამმუშავებელნი. ამისათვის მომარაგების სამინისტროს მთავარ რწმუნებულის მიერ დამუშავებულ სახელმძღვანელო წესდების ძალით, მწარმოებელთა საკრედიტო კოოპერატივის შექმნის შესახებ, კოოპერატივში არ შეუძლია არა თამბაქოს მწარმოებლებს მონაწილეობის მიღება. ნ. გ. თავდგირიძემ უკვე თავის მოხსენებაში გამოსთქვა რწმენა, რომ თუ ფინანსიური დახმარება არ ექნა მწარმოებლებს შემყიდველებიდან, თამბაქოს წარმოება დაიღუპებაო. ასეთი შიში რა თქმა უნდა, უნიადაგოა. სესხი, რომელსაც უწინ ღებულობდენ მწარმოებელნი შემყიდველებიდან, შეიცვლება სახელმწიფო სესხათ. საჭირო თანხის გადასადებათ მთავრობაში უკვე წარდგენილია მოხსენება. ბუნებრივია, რომ პლანტატორ-მწარმოებელნი სიხარულით ხვდებიან კერძო კრედიტის შეცვლას სახელმწიფო კრედიტით, მაგრამ სახელმწიფოს არ შეუძლია, რა თქმა უნდა, ერთ და იმავე დროს დააკმაყოფილოს ინტერესი მათი, ვინც იღებდა სესხს და ვინც მას იძლეოდა.

ორი ლექსი

„ბუნება უსულგულოა
სასტიკ კანონის მორჩილი
და კაციც იგი [illegible] მეცია
ვერ შემგნებელი სხვის ტანჯვის"...
ვაჟა-ფშაველა.

I.

აქამდის არა გვეშინდა
დღის შეხარიდით მზიანსა,
პირსაც ვლხინობდით—გვიკვირდა,
ბედს [illegible] თავაზიანსა;
არ ვაჩვენებდით შიგ ლაწვსა
მტრობასა მრავალ გზიანსა,—
ქართლი გვეზრდიდა ვაჟკაცსა
სად გულს, მკლავ-ღამაზიანსა...

მაგრამ ბუნება მტერია,
ვერავინ იცნობს ზნიანსა,
თავი ვერ დაუპერია
ქარსა და მტვერსა ბზიანსა;
არ იცის ვისი მტერია,
ვერ ხედავს თავის ზიანსა,
სწორად გზა არ უწერია
მახინჯსა ბრმა-კუზიანსა...

მოსრულავს დათვისა თათი
ურიცხვსა პიანშველსა,
ეგრე ბუნების ადათი
ერთად თუ შეხვდა ყველასა!
ზღაპარსა რასმე გვაგონებს,
წყლის ცვართა სანაყველასა;
სად უპირს იქ მოაგონებს,
თვით დასკვნის თავის შველასა.

კაციც ამ წესის შვილია,
წუთის ცვლა, ბრუნვა სოფლისა,
ბრძოლაში დაგეშ ლია,
ზვირთია პირის ოფლისა;
ძლევის მფრქვეველი ქინია,—
რისხვა მის ავის მყოფლისა.
ბუნების არ ეშინია,—
უნდა უკმეხი მშობლისა...

მახსოვს სამშობლო იწვოდა
ცეცხლითა ფრიად ცხელითა,
იქ კაცის სული იღწოდა,
მტრული მოყვარის ხელითა.
დღეს დედამიწამ დაგვცხვარა,
სულ ბოლმის მონახველითა,—
ხვალ ღამის კაცმა დაგვცარცვა—
ზღვით მოვა ანუ ხმელითა.

სულ მუდამ ჩვენი ცხოვრება
სისხლის სადენი არხია,
შვება არ გვემახსოვრება
ტანჯვის აკვანმა გვარხია;
ვეშაპი ჩვენი მკამელი
ზეზეურათ მარხია,
ჰკლავს ზრახვა გაუძლომელი,
თვითვე სიკვდილის ჩარხია...

დაგვა[illegible] ხორხი ბედისა
ვით ცოფიანი მყეფარი,
ვით ზვავი მთის ქედისა
თავდადამე წამომლებარი,
მაგრამ ვერ ჩასწვდა ჩვენს გულსა
შიშის ხმა გაუგებარი,
ზღვასა ჰგავს ცეცხლ მოდებულსა
ბრძოლის ტალღების მქუხარი..

II.

ბუნებამ ძლევის დიდება
ქართლის გულიდან იძახა,
მტერთა ცეცხლების კიდება
გრგვინვით გარს შემოისახა,
ზანი სოქვა დედამიწამა
ხმით მედგრით საომარითა,
ხალხის ხმა ზეცამ იწამა,
სამშობლო მთა და ბარითა!

დამლერებს დედა ქართლისა
ხმა ტკბილსა ახალ ფანდურსა,
მზრდელი გმირისა მართლისა
ბედს არის ემუვის სამდურსა:

„—მშვენიერი ჩვენი ერი
ხმალსა ჰპირავს,
სატრფო მამულს სისხლ მინაზულს
თავსა სწირავს!
მტერთა რიცხვით არც სხვა რისხვით
არ შეძრკება,
როგორც ცეცხლს ზღვათა ღელვა
შემოკრბება!
ქართა ნაცრათ მოსტაცრათ
არ გახდება,
მტრის წინ მკაცრათ ვლის მამაცრათ
გარდახდება!—
ფრიდალი ვით გრიგალი
მშვენიერი,
ხმალსა პირავს, თავსა სწირავს
ჩვენი ერი!
და მამული მონაზული
სისხლის წვეთით,
პირ ნატვრითი და ნაკვეთი
ამ სიმძიმით,—
გაიმარჯვებს! დამლერს დედა
ძლევის სიმით,
რომ გვირგვინი გაბრწყინდება
მზის ციმციმით!

შ. ტუქაშვილი.

შრომის სამინისტროში

ტრამვაის ელექტრონის სადგურის მუშები.

11 მარტს შესდგა ტრამვაის ელექტრონის სადგურის მუშათა საზოგადო კრება. განსახილველი იყო: 1) თავისუფალ დღეების და 2) ზედმეტი მუშაობის საკითხები. ხსენებულ საკითხების მდგომარეობა ასეთი იყო: წინეთ მუშები სამუშაო და უქმე დღეებში ერთნაირ ჯამაგირს ღებულობდენ, ასე რომ თვეში მათ უხდებოდათ 32 სამუშაო დღე. რომ რაიმე უკმაყოფილებას არ ქონოდა ადგილი ადმინისტრაციასა და მუშებს შორის, სატარიფო პალატამ აიღო თვეში 25 დღე და ის სამუშაო ქირა, რომელსაც მუშები ღებულობდენ 32 დღეს, გაანაწილა 25 სამუშაო დღეთ. ასე რომ, მუშათა ბიუჯეტი ამით ოდნავადაც არ ზარალდებოდა. სადგურში მუშები 3 „სმენათ" მუშაობდენ. პირველი 8 საათს, მეორე 7 საათს და მესამე 6 ს. მხოლოდ, როცა მუშები ზედმეტ სამუშაოს ასრულებდენ, ადმინისტრაცია მათ უსწორდებოდა არა 6 საათის სამუშაო ნორმით, არამედ—8 საათის. მუშები კი მოითხოვდენ: ვინაიდან მუშაობა სწარმოებს 6 საათის წესით, ზედმეტი მუშაობის ქირაც 6 საათის ნორმით მიეცათ მათთვის.

ამ საკითხის გამოსარკვევად საზოგადო კრებაზე მოწვეულ იქნა თფილისის შრომის კომისარი ამხ. ელბაქიანი, რომელმაც განუმარტა საზოგადო კრებას, რომ 32 დღის 25 დღით შეცვლით მათი ბიუჯეტი მაინც ძველი რჩება. ამას გარდა, ვინაიდან მათ აქვთ კვირაში ერთი დასასვენებელი დღე, ამიტომ კვირა დღის მათი მუშაობაც უნდა ჩაითვალოს, როგორც სამუშაო დღის მუშაობა.

რაც შეეხება მეორე საკითხს, გამგეობის დადგენილებით, მათი მუშაობა როგორც დღისით ისე ღამით, ერთი წესით უნდა ყოფილიყო. მუშებისა და გამგეობის შორის შეთანხმება მომხდარა 6 და 8 საათის მუშაობის შესახებ. მხოლოდ ზედმეტი მუშაობისათვის 6 საათის ანგარიშით მიცემაზე მათ შორის არ ყოფილა არავითარი შეთანხმება. ამხ. ელბაქიანის განმარტების შემდეგ საზოგადო კრებამ დაადგინა: პირველი საკითხი გადაეცეს მომრიგებელ კამერას, ხოლო მეორე საკითხი ხელმეორედ გადასინჯულ იქნას კავშირის გამგეობის მიერ.

პროფესიონალურ კავშირებში

თამბაქოზე მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირში.

10 მარტს შესდგა თფილისის მეთამბაქოეთა პროფ. კავშირის გამგეობის სხდომა, სადაც სხვა საკითხებთან ერთად განხილულ იქნა საკითხი მუშების სურსათით დაკმაყოფილების შესახებ. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მიღებულ იქნა: დადასტურებულ იქნას ძველი დადგენილება ხსენებულ საკითხზე. ამასთანავე ერთად მიემართოს სატარიფო პალატას წინადადებით, რათა მან მუშებისათვის პურის მიცემით გაადიდოს რაციონი.

[illegible] გამგეობამ შემდეგი მიმართვა გაუგზავნა სატარიფო პალატას: „თამბაქოზე მომუშავეთა პროფ. კავშირის გამგეობამ 10 მარტის სხდომაზე მეორედ იქონია რა მსჯელობა მუშათა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ,—დაამტკიცა იგივე დადგენილება, რომელიც მან გამოიტანა თავის წინა სხდომაზე. სურსათის ასეთ მწვავე კრიზისის დროს, რომელიც ეხლა არსებობს, ჯამაგირების ვერავითარი გადიდება ვერ გააუმჯობესებს მუშათა ღარიბ ბიუჯეტს, ამხანაგებმა ერთხელ და სამუდამოთ უნდა შეიგნონ, რომ ქაღალდის ნიშნები ვერ გასწევენ იმის მაგიერობას, რასაც მუშები საჭიროებენ. პირიქით, ასეთ მოქმედებას ძლიერ ცუდი შედეგი ექნება, როგორც მუშებისათვის ისე სახელმწიფოსათვის, რომელიც ბონების უსაზღვრო განოცემით საშინელ კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდება და ამით კიდევ უფრო გართულდება ის სიძნელე, რომელიც გამოწვეულ იქნა ოთხი წლის ომით.

გაცნობება რა ამას, კავშირის გამგეობა კიდევ ადასტურებს ყველა იმ ზომებს, რომელიც წარმოდგენილი იყო მის მიერ, მუშათა მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. ის ფიქრობს, რომ უახლოესი პრაქტიკული ნაბიჯი, ეხლანდელ დროს, უნდა იყოს არა უზომოთ გადიდება ისედაც ფას დაკარგულ ფულის ნიშნების, რომლის შედეგი ყველაზე უფრო საგრძნობი იქნება მუშათა კლასის მდგომარეობისთვის, არამედ—უპირველესად ყოვლისა, რაც შეიძლება გადიდება პურის იმ რაციონისა, რომელიც მუშებს ეძლევათ და, საერთოდ, იმ პირველი საჭიროების საგნების წესიერი დანაწილება, რომელიც მთავრობის ხელშია".

დახმარება მიწის ძვრისაგან დაზარალებულთ

სია გვარდიელების, რომლებიც იმყოფებიან სახალხო გვარდიის სავადმყოფოში სამკურნალოთ და შესწირეს დაზარალებულებს თავიანთი წვლილი. ას-ასი მანეთი: ნაჭყებია ბაგრატ, ლორთქიფანიძე ბაგრატ, ჩურგია სამსონ, ქორქამიძე კოლა, გოზალაშვილი დავით; ხუთ-ხუთი თუმანი: ხოჭავა პავლე, თავბერიძე გრიგოლ, ძამელაშვილი დიმიტრი, ავალიძე იოსებ, კალმანი პავლე, ღუკანოზოვი გარსევან, ხმალაძე შაქრო, ჩიქოვანი ვარდენ, დევიძე მარიამ, ხოფავა ლევან, ანდრიანჩენკო ფილიპე, გრიგოროვი ალექსანდრე, პაწულია თენგიზ, კაპაძე ამირან; ორმოცი მანეთი: ძაღლიკაშვილი ივანე; სამ-სამი თუმანი: კოლაბეგაშვილი დიმიტრი, ლაპარყავა ანდრო, ჩიტიანი დავით, მახაბერიძე დავით, დადიანი გრიშა, გაიდუკოვი ალექსანდრე; ორ-ორი თუმანი: ცერცვაძე დათა, მენდარაშვილი გრიგოლ, ალიშვილი ელიზბარ, აბრამოვი მათე, გოგმართელი გრიგოლი; ოცდა ხუთი მანეთი: ყამბეგოვი ბესარიონ; თერთმეტი მანეთი: დათუაშვილი ისააკ; თითო თუმანი: რაჟდენაშვილი გიორგი, ხარიბეგაძე სიმონ, შათირიშვილი სამსონ, კობალია სოლომონ; ხუთ-ხუთი მანეთი: გუდუშაური ლუკა, მღებრიშვილი ლევან. სულ 1606 მან. *).

ამხ. ნოე სარიშვილი

კვირას, 14 მარტს ყვავილით გარდაიცვალა უანგარო მუშაკი ნოე სარიშვილი. ნოე სარიშვილი ითვლებოდა ბათომის პირველ რაიონის ს.-დ. კოლექტივის, ბათომის რკინის გზის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის სექციის გამგეობის და რკინის გზის რაიონული გამგეობის წევრათ.

აღარ გვყავს სპეტაკი, უზადო ამხანაგი ნოე, რომელიც აშკარა მამხილებელი იყო ამხანაგების ყველა ნაკლისა, მაგრამ მისი მხილება და საყვედური მაინც არავის არ სწყინდა, ის მაინც ყველას უყვარდა.

მსახიობი და უანგარო ემსახურებოდა ნოე 1916 წლიდან ქართულ სცენას. ის იყო ბათომის ქართ. დრამ. წრის გამგეობის წევრი. მას აგრეთვე კარგათ იცნობენ ბათომს გარდა თფილისის, ლანჩხუთის და სამტრედიის სცენაზედაც. გულწრფელი და უანგარო მუშაკი, ხალხის წრიდან გამოსული და ხალხისთვისვე შრომაგე ნოე უდროოთ მოწყდა წუთისოფელს, მაგრამ მისი ამხანაგები არასოდეს არ დაივიწყებენ მის სპეტაკ სახეს. მისი ხსოვნა სამუდამოთ დარჩება ჩვენს გულში!..

გ. ა—ბელი.

მიწის დამუშავება გერმანიაში

(ყოფილი სამხედრო ტყვის დაკვირვებანი).

ჩვენი მეურნეებისათვის ინტერესს მოკ- [illegible]

---

*) რედაქციამ მიიღო.

ძირიანად ილის ნაპირებზე ამოსულ ბალახს და თან მიწას აქუჩებს, რადგანაც ამოსული ქართოფილის ლეროები უნდა დაიმალოს მიწაში. არხები იმ მხრით უნდა იყოს გაკეთებული, საითაც დაღმართია, რომ წვიმის წყალი არხებში არ შეგუბდეს. ბევრი წყალი აფუჭებს ქართოფილს. ქართოფილის ამოღებას შემოდგომაზე იწყებენ; ქართოფილს თხრიან თოხის მაგვარ მოკლეტარიან იარაღებით, რომელსაც ოთხი ან სამი პრტყელი თითები აქვს, ერთი მეორისგან კარგა მოშორებული, რომ ქართოფილი არ დაიჭრას.

იმ მიწაზე, სადაც ქართოფილი მოდის, თითქმის ყოველთვის შვრიას სთესავენ. ერთ და იმავე მიწაზე თითქმის ყოველ წელიწადს სხვადასხვანაირი მცენარეები ითესება; ძლიერ შეხვდებით, რომ ერთ მიწაზე ორ-სამ წელიწადს ერთნაირი მცენარე ითესებოდეს.

როგორ ამზადებენ საქონლის ჭარხლის და ცხენების (ამგელ [illegible]) დასათეს მიწას

ასეთ მიწაზე ჯერ ნაკელს მოაყრიან, შემდეგ მოხნავენ და თითქმის მთელი ზამთარი ასე რჩება. გაზაფხულზე მოაყრიან დამწვარ კირს და მეორეთ ხნავენ. კირს იმიტომ აყრიან მიწაზე, რომ თაგვი და სხვა ათასნაირი ჭიები არ გაჩნდეს. შემდეგ ფარცხავენ, ქართოფილის გუთნით აკეთებენ კვლებს. გუთანი თან არხებს აკეთებს. არხისა და არხის შუა რჩება ამაღლებული მიწა. თესლს შექუჩებულ მიწაში სთესენ; ძალიან არ ფლავენ მიწაში. თუ ნათესი სქლად იქნება ამოსული, ათხელებენ; ჭარხლის ნერგს სხვაგან რგავენ, რომელიც კარგად ხეირობს. ამისთვის წვიმიანი დღეა საჭირო, რომ გადარგვის დროს ნერგი არ გახმეს. ჭარხალი ზრდაში როდესაც არის, აცარებენ გუთანს, რომელიც თან მარგლავს და თან კიდევ მიწას აყრის.

როგორ აშენებენ ტყეებს.

ტყისთვის არჩეული უნდა იქნეს უმეტეს ნაწილად ქვიშიანი ადგილები. როდესაც ასეთ ადგილს გაასწორებენ, შემდეგ პატარა პირიანი გუთნით კვლებს აკეთებენ, რომელშიაც ფიჭვს სთესავენ ისე, როგორც ქართოფილს; ითესება სიგრძეზე 1 არშინის მოშორებით ერთი მეორეზე, ხოლო სიგანეზე 2 არშინით. თუ დაინახავენ, რომ ნათესი სქელია, თანდათანობით სჭრიან და შეშათ ხმარობენ. ხელოვნურად გათხელებული ტყე მშვენივრად იზრდება.

გერმანიაში საერთოდ ხელოვნურად ფიჭვის ტყეებს აშენებენ. მუხა და სხვა უმეტეს ნაწილად ბუნებრივად იზრდება. ძველ ტყიდან განთავისუფლებულ მიწას გამოსცდიან: თუ მოსავლისთვის არ ივარგა,—ისევ ტყეთ აშენებენ.

როგორ ამზადებენ სათიბ მიწებს.

ვინ იფიქრებს ჩვენში, რომ გერმანელები სათიბ ადგილებსაც ხელოვნურათ აკეთებდნენ. ამას არც კი დაიჯერებს ბევრი ჩვენი გლეხი, გერმანიაში კი—ეს ჩვეულებრივი მოვლენაა.

სათიბისათვის ჭაობი ადგილი უნდა იქნეს არჩეული. ადგილი უნდა გასწორდეს, ზევიდან უნდა მოცილებულ იქნეს მავნე ბალახი ეს ასე შეიძლება მოხდეს: უნდა გადაბრუნებულ იქნეს მიწა ერთი ბარის პირზე, ისე რომ ბალახის ფესვები ზევით დარჩეს და მზეზე გახმეს, ამას რომ მოვრჩებით, უნდა მოიტანოთ ნაკელი და ნეხვი და თანაბრად გავშალოთ მთელ სათიბში. გერმანიაში ამ მიზნისთვის სახნავ სათესი მიწებიდან გამოტანილ ბალახის ფესვებსაც იყენებენ. ფესვებს ერთად აქუჩებენ, რაც ორ-სამ წელიწადს იწვის, ლპება და თითქმის მიწათ იქცევა. ამას ისინი გერმანელები, შემდეგ სათიბებს აყრიან ზევიდან. ამგვარათ მომზადებულ მიწაზე სთესენ ორ-სამნაირ ბალახის თესლს: სამყურა ბალახისას და სხ. შემდეგ დასტკეპნიან და ერთ წელიწადს შემდეგ უკვე მზათ არის სათიბი. წელიწადში მოთიბვა ორჯერ შეიძლება: გაზაფხულზე და შემოდგომაზე. გერმანიაში თივას ჩვენსავით არ ინახავენ; თივა ინახება ბანზე, სახურავებში, სადაც ჟამინდობა მის ლპობას ვერაფერს დააკლებს.

საინტერესოა, რომ ბალახი თითქმის ნელნელა ითიბება და მთელი სინოყიერე თანა რჩება. ასეთი თივა სუნითაც კარგია და ფერითაც და საქონელსაც მეტათ რგებს.

პირველ ყოვლისა გერმანიაში ყოფნის დროს ჩემი ყურადღება მიიქცია სოფლათ მუშაობამ. ბევრ ჩვენთაგანს, ტყვეებს რომელნიც გერმანიაში ვიმყოფებოდით და ვმუშაობდით სოფლად, გვეუცხოებოდა და აგრეთვე გვიკვირდა, როგორ შეწყობილათ მუშაობდნენ კაცი და ქალი, აგრეთვე ბავშვებიც. ისინი კვირიდან კვირამდე მუშაობდნენ და ცუდათ ვერა ნახავდით ვერც კაცსა და ვერც ქალს, დიდსა თუ პატარას. იმათთვის მხოლოთ კვირა იყო დასასვენებელი დღე. და კიდევ წელიწადში 3 დიდი უქმე დღეები: შობა, ყველიერი და აღდგომა. მხოლოთ ამ დღეებში ნახავდით მათ სახლში. ბევრჯერ კვირა დღესაც გვინახავს, რომ სადღაც მიეშურებოდნენ სამუშათ.

ამას მაშინ სჩადიან, როდესაც საქმის დღეებში ვერ ასწრებენ და უმუშაობით საქმე ფუჭდება.

ილ. ხონდულაშვილი.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 11 მარტს შესდგა პირველ რაიონულ კოლექტივის წევრთა კრება ამხ. გ. ბახტაძის თავმჯდომარეობით. 21 წევრიდან კრებას არ დაესწრო: ნ. ჯიბლაძე, მეზვრიშვილი და ჩლაიძე.

პირველათ კრება ღებულობს შემდეგ რეგლამენტს: 1) კოლექტივი იკრიბება ჩვეულებრივათ კვირაში ერთხელ ხუთშაბათობით. 2) კრება იხსნება სრულ 5 საათზე, თუ 5 საათზე ქვორუმი არ გამოცხადდა, უცდიან 10 წუთს, რის შემდეგ კრება იშლება; 3) კოლექტივის წევრი, რომელიც ორჯელ ზედი-ზედ არ დაესწრება კრებას, და არც საპატიო დასაბუთებულ მიზეზს წარმოადგენს, კოლექტივიდან გარიცხულათ ჩაითვლება, მის ადგილს იჭერს კანდიდატი; 4) ქვორუმს შეადგენს უბრალო უმრავლესობა ერთით მეტი; 5) კოლექტივის წევრს, რომელსაც სურს შეიტანოს საკითხი დღიურ წესრიგში, მან ამის შესახებ განცხადოს სიტყვიერათ ან წერილობით კრების გახსნამდე; 6) განცხადებანი შეტანილ უნდა იქნეს კრების ბოლოს. ცენტრიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. გ. ბახტაძე. მოხსენებას კრება ღებულობს ცნობათ. მთავარ სახელოსნოების ქვეკოლექტივის წევრების არჩევნების ოქმი განხილულ და დამტკიცებულ იქნა კრების მიერ. დანარჩენი ქვე-კოლექტივის არჩევნების ოქმები უნდა წარმოადგინონ შემდეგ კოლექტივის მორიგ კრებაზე. რევოლიუციის მე 3 წლის თავის აღსანიშნავათ 1-ლ რაიონიდან მანიფესტაციის ხელმძღვანელებათ არჩეულ იქნა კომისია: კ. მაჭარაძე, ი. გიორგაძე, ს. დოლიძე და გ. ფუფუაძე. მუსიკის შოვნა მიენდო: ჭ. ნტურიას, გელინიძეს და ნარიმანოვს. ზოგიერთი ორატორები გამოსთქვამენ შიშიანობას, რომ ცენტრალური ხელმძღვანელი ორგანოები თავისდროზე არ ღებულობენ ზომებს, მუშათა კლასის დღესასწაულების სათანადოთ ჩასატარებლათ... ზოგნი მოხრია—კოლექტივმა გამოსთქვას საყვედური, ვინაიდან რევოლიუციის მესამე წლის თავის აღსანიშნავათ—განკარგულება გამოიცა ძალიან გვიან... ამხ. ს. დოლიძეს შემოაქვს წინადადება, კოლექტივმა ახლავე მიმართოს განცხადებით, სადაც ჯერ არს, რათა პირველ მაისის დღესასწაულის ღირსეულათ ახლავე იქნეს მიღებული ზომები.

ამხ. ი. ზ. ბებურიშვილის ქვრივის წერილობითი განცხ. შესახებ, რომ კოლექტივი დაეხმაროს მას, მისი სნეული ავათმყოფ შვილის ერიკლეს, საავათმყოფოში მოსათავსებლათ, კრებამ მიანდო ამხ. ს. მამაცაშვილს და გ. ბახტაძეს შეკრიბონ აღნიშნულ ავათმყოფის შესახებ ცნობები და მიიღონ ზომები მისი საავათმყოფოში მოსათავსებლათ. კრებამ ტფილის. კომიტეტის თხოვნა—რომ კოლექტივმა მისცეს მას სესხის სახით 10.000 მან., დააკმაყოფილა. რაიონში პარტიულ-იდეიურ ორგანიზაციულ მუშაობის გაძლიერების შესახებ კრებას გამოაქვს დადგენილება, გადაეცეს აღნიშნული საკითხი ქვე კოლექტივს თავის შეხედულების გამოსათქმელათ, რის შემდეგ მოწვეულ იქნეს განსაკუთრებულ კოლექტივის წევრთა კრება საკითხის ყოველ მხრივ გასაშუქებლათ.

მდივანი.

ხიდნალი. კოლექტივის პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: თავმჯდომარეთ—ი. კრაწაშვილი, მის ამხანაგათ ქ. ჯანბერიძე, მდივნათ დ. ნანობაშვილი.

მდივნის შესახებ კრებამ დაადგინა პრეზიდიუმს სამაზრო კომიტეტთან ერთად იქნეს ერთი მდივანი დაქირავებული, რომელიც შეასრულებს როგორც სამაზრო, ისე ქალაქის კოლექტივის საქმეებსაც, კოლექტივისთვის ბინის შოვნა დაევალა ორ ამხანაგს.

შესასვლელი პარტიული გადასახადი კოლექტივმა განსაზღვრა ორ კატეგორიათ: პირველი 30 მ., მეორე 10 მან.

ათის თავების შესახებ კრებამ დაადგინა ქალაქი დაიყოს უბნებათ, სადაც არჩეული იქნებიან ათის თავები, რომ მომავალში უფრო გაადვილდეს პარტიული მუშაობა.

კალე.

მუშათა შორის

ბათუმი. 26 თებერვალს მოხდა ბათუმის სასტუმრო-სასადილო-საკრებულოების მოსამსახურეების კავშირის წევრთა საზოგადო კრება ქალაქის თვითმართველობის დარბაზში. კრებას დაესწრო 90 წევრი. განსახილველი იყო შემდეგი საკითხები: 1) გამგეობის მოხსენება, 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება და ანგარიშის დამტკიცება, 3) ახალი გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები, 4) საწევრო გადასახადის გადიდება და უმუშევართა ფონდის დაარსება, 5) მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დახმარების შესახებ. გორის მაზრაში.

გამგეობის წევრი ვ. გვილავა აკეთებს მოხსენებას და აღნიშნავს, რომ ოსმალთა შემოსვლის შემდეგ კავშირის მუშაობა თითქმის შეწყდა საყოველთაოდ და განსაკუთრებით ჩვენი. ჩვენი გამგეობის წევრები წავიდნენ, დარჩა მხოლოდ ორი კაცი. ჩვენ დეკემბერში მოვიწვიეთ კოოპტაციის საშუალებით ამხ. იოქავა და პ. გოცირიძე, რის შემდეგაც გამოცოცხლდა მუშაობა. უნდა მოგიწოდებთ, რომ გამგეობაში აირჩიოთ სასურველი პირები, რომლებსაც შეეძლება საქმის გაძღოლა.

2) შემდეგ აკეთებს სარევიზიო კომისიის მოხსენებას, რითაც კმაყოფილდება კრება და ანგარიშს ამტკიცებს.

3) არჩევნების მოხდენამდის შემოაქვთ მზარეულებს განცხადება, კავშირიდან გამოყოფის შესახებ და მოითხოვენ ცალკე კავშირის დაარსებას ხმის უმრავლესობით გადაწყდა არ გამოყოს მზარეულთა კავშირი.

გამგეობაში იქნენ არჩეული 1) პ. გოცირიძე, 2) პ. ბლაზკოვი, 3) იაშა, 4) გ. კახიანი, 5) ეკ. კავალიონი, 6) მ. მაისურაძე, 7) თ. დიმიტრაშვილი, 8) ნ. ჭელიძე, 9) ა. გუბეჯიშვილი, 5) კანდიდატები. სარევიზიო კომისიაში: ვ. გვილავა, ს. გორდელაძე, ა. გოგუაძე. შემდეგ იხურება კრება რადგანაც გვიანი იყო და ნიშნავენ 29 თებერვლისათვის. 29 ს დილის 11 ს. იხსნება კრება. თავმჯდომარე აკეთებს მოხსენებას საწევრო გადასახადის გადიდების შესახებ, უმუშევართა და გაფიცვის ფონდის შექმნის შესახებ.

კრების მიერ იქნა მიღებული ორი პროცენტი, საწევრო 1 პროცენტი უმუშევართა ფონდისათვის. მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ კრების მიერ მიღებული იქნა, რომ ერთი დღის ნამუშევარი შეწირონ. მიენდო გამგეობას შეიმუშაოს როგორი და რამდენი დღე იქნება გადადებული.

წევრი.

ზესტაფონი. 28 თებერვალს აქ შესდგა სავაჭრო-სახელოსნოებში მომუშავეთა საზოგადო კრება, რომელსაც დაესწრო სამოცამდე კაცი. კრებას თავმჯდომარეობდა ვ. ხელიძე, მდივანი ალ. ფუტკარაძე. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) პროფესიონალური კავშირის წესდების განხილვა, 2) მუდმივი გამგეობის არჩევნები, 3) სარევიზიო და მეთვალყურე კომისიების არჩევნები.

მოხსენება გააკეთა დროებითი გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ბულეიშვილმა, რის შემდეგ კრებამ განიხილა მუხლობრივ წესდების პროექტი და დაამტკიცა. ამის შემდეგ ამხ. პ. გოგიაშვილი აკეთებს მოხსენებას 8 საათის სამუშაო დღის მნიშვნელობაზე და საერთოთ, მუშათა პროფესიონალურ მოძრაობაზე.

დასასრულ კრებამ აირჩია: გამგეობა, სარევიზიო და მეთვალყურე კომისიები.

გამგეობაში არჩეულ იქნენ შემდეგი პირები: 1) გ. გაჩეჩილაძე, 2) ალ. ფუტკარაძე, 3) ი. კიღიანი, 4) ვ. ხელიძე და 5) პ. ბაბუნაშვილი. მათ კანდიდატებათ 1) გრ. მღვდელიძე, 2) ნ ფერაძე და 3) ა. კოხაძე სარევიზიო კომისიაში: 1) ამხ. ბულეიშვილი, 2) ვ. დვალიძე და 3) არ. კრიპე. მათ კანდიდატებათ: 1) ქ. გოგუაძე და 2) გ. ჩაჩანიძე.

მეთვალყურე კომისიაში, რომელმაც უნდა ადევნოს თვალყური სავაჭრო სახელოსნოების თავის დროზედ გაღებას და დახურვას და სხვა არჩეულ იქნენ შემდეგი პირები: 1) სევ. ფერაძე, 2) მ. დვალიძე, 3) ვ. ხელიძე, 4) პ. ჯალაღანია, 5) ა. ფუტკარაძე, 6) გრ. მღვდელიძე, 7) გ. ჩაჩანიძე, 8) ვ. იარბულაძე და 9) გრ. გაჩეჩილაძე. —ოხი.

პროვინცია

სოფ. წილკანი. (დუშეთის მაზრა) წილკანში მოსახლეობს 350 კომლამდე. ადგილ მდებარეობა ამ სოფლისა საუკეთესოა. თვითონ სოფელი გაშენებულია ფერდობზე, დაბლა ვენახები, ვენახების იქით კი სახნავი მინდვრები. არა აქვთ მხოლოდ წყალი. უწყლობით წილკანი განიცდის დიდს უბედურებას, არ არის აქ არც სასმელი და არც სარწყავი წყალი. ზაფხულში, გვალვაში და საერთოდ უწყლობის დროს მცხოვრებნი ეზიდებიან წყალს ახლო-მახლო სოფლებიდან და იქვე მიუდით თავიანთ საქონელი, ამ ბედნიერებითაც სარგებლობს მარტო უფრო შეძლებული ნაწილი მცხოვრებთა, რომელთაც აქვთ ურემი და ცხენი, ხელმოკლენი კი იძულებულნი არიან საქონლის ნაფეხურებიდან ხაპონ წვიმისა და ნიაღვრებისაგან ჩამდგარი წყალი და მით ისულდგმულონ. რაიც აუცილებს მცხოვრებთა შორის სხვადასხვა სენს. მგონია წილკნის დაარსების დღიდგანვე მცხოვრებნი ცდილობენ გამოიყვანონ მდინ. ქსნიდან საკუთარი რუ, ვინაიდან აწ არსებული რუს სათავეში მოსახლეობს ოთხი სოფელი და წყლითაც ისინი სარგებლობენ, მაგრამ დღემდის ამ სურვილის ასრულებას ვერ ეღირსნენ წილკნელები: წინედ მემამულე თავადაზნაურობა, რომელთა მამულზედ უნდა გაჭრილიყო რუ, არ აძლევდენ ამის ნებას და ეხლა კიდევ სხვა სოფლების მესაკუთრე გლეხკაცობა, რომელთაც ენანებათ რამდენიმე საჟენი თავიანთი მამულისა რუსთვის და იმას კი არ დაგიდევენ, რომ ამოდენა სოფლის მცხოვრებნი (2000 სულია) თავიანთი საქონლით და ფრინველით უწყლობით ლამის არის ამოსწყდნენ. თუ [illegible] მაზრის ერობის გამგეობამ დღემდის არ იცოდა წილკნის ასეთი გაჭირვება, იმედია აწი მაინც მიაქცევს თავის ყურადღებას და ყოველმხრივ დაეხმარება მათ მდ. ქსნიდან საკუთარი რუს გამოყვანაში.

სწავლა-აღზრდის მხრივ სოფელი ძალიან ჩამორჩენილია. ვერ იპოვით ცოტად თუ ბევრათ წერა-კითხვის მცოდნე პირს. არავითარი ინტელ. ძალები, გარდა ადგილობრივ სკოლის მასწავლებლისა, რომელიც ჩაკეტილია თავის სახლში და ხალხს არ ეკარება. საჭიროა არის იგი დაუახლოვდეს ხალხს, გაუჯიროს მათ ჭირშიც და ლხინშიც, მისცეს მათ ახსნა-განმარტება სხვადასხვა საკითხებში, უკითხოს გაზეთები, გააგებინოს ნამდვილი ვითარება დღევანდელი საქმეებისა და მათ აუხსნას მათი ათასგვარი პროვოკაციული ჭორები, რომლებსაც ასე უხვად აბნევენ ხალხში ჩვენი სამშობლოს და მთავრობის დაუძინებელი მტრები.

არსებობს კოოპერატიული დუქანი, რომელიც წააგავს უფრო ვაჭრულს არსებობას აგრეთვე საკრედიტო ამხანაგობა მხოლოდ ქაღალდზედ, არ მოქმედობს კი. ყველა ჩამოთვლილ უბედურებას ზედ ერთვის მცხეთის რაიონის კომისარი ბატონი მ. რომელიც ჩაჰკვრია წილკანში მცხოვრებთ წურბელასავით და სწოვს მათ ფანტრალოთ. როდესაც კი შემოაკლდება ბ ნ კომისარს ჯიბეში ფული ან და ოჯახში რომელიმე სანოვაგე, მაშინვე დაიბარებს რომელიმე გლეხკაცს და გამოუცხადებს, რომ იგი დატუსაღებულია. ბეჩავი ხალხიც ფიქრობს რა, რომ ადგილობრივი ბატონ-პატრონი არის კომისარი ცდილობს არ აწყენინოს მას, იძულებული ხდება პირიდან გამოაცალოს უკანასკნელი ლუკმა თავის ოჯახის წევრებს და მიართვას ბ ნ კომისარს, რომელიც იღებს დაწყებული ფულიდან უკანასკნელ კვერცხამდე. იყო თურმე ისეთი შემთხვევა, რომ ბ ნმა კომისარმა მიიღო ტომრით ფქვილი და პატრონს კი ტომარაც აღარ დაუბრუნა. ასეთი უცნაური საქციელი თუნდაც ერთი მოხელისა, სახელს უტეხს სხვა მოხელეებსაც, რაიც არ არის სასურველი. იმედია ამ გარემოებასაც მიაქცევს ყურადღებას მაზრის ერობის გამგეობა და მით დაიხსნის დაჩაგრულ ხალხს, რომ მათაც ყოფილათ მოპირნახული პატრონი.

წილკნელი.

სოფ. პატარძეული. ძალიან იშვიათი შემთხვევაა, რომ ამ სოფელზე რაიმე ითქვას ან დაიწეროს, აქ ისეთი ძალები საკმარისად არ მოიძებნებიან, რომ ცოტა გულშემატკივრობა გამოიჩინონ ხალხისადმი. თუ ცოტა-ბევრათ მომზადებული პირი აღმოჩნდა, ისიც კერძო პირადი ინტერესებით უფრო დაინტერესებული, ვიდრე საზოგადოებრივი საქმიანობით, რითაც უნდა აიხსნას მათი გაჩუმება და დაუდევრობა იმ არა სასურველ საქციელებზე და უცნაურ მოქმედებებზე, რასაც ხშირად აქვს ადგილი აქ მღვდელთა შორის, რომელთა მეოხებით არის გამეფებული ქაოსი უსაფუძვლო პირად ინტერესებზედ აგებული... აქაურ მღვდლებმა თავიანთ ბლაღოჩინით პირადი ინტერესებით აღტყინებულებმა გამოიტაცეს უსაფუძვლოთ წმ. თომას ეკლესიის მრევლის წინამძღვრ. გასულ წლის მიწურულებში ბლაღოჩინის მახლობელნი გარდაიცვალნენ გადამდები სენით, რომელთა ეკლესიის გალავანში დაკრძალვის ნება არ მისცა ადგილობრივმა ადმინისტრაციამ, რამაც ბლაღოჩინზე ძრიელ იმოქმედა და ადმინისტრაციას რომ ვერა დააკლო რა, მთელი რისხვა მრევლზე გადაიტანა ეკლესიის დაკეტვით და მღვდლის არ ყოლით. ამის შესახებ მრევლმა მიმართა დანიშნულისამებრ, რაზედაც ბლაღოჩინს მოუვიდა მოწერილობა, რომ მას მოეწვია მრევლის ყრილობა თავის თავმჯდომარეობით მღვდლის ამოსარჩევად, მაგრამ ბლაღოჩინი ამაზედაც გაწყრა და ყრილობაც არ მოიწვია, რის შესახებაც რამდენჯერმე მიემართეთ ყრილობის ამორჩეულმა კაცებმა, მაგრამ მრევლს ყურადღება არ მიაქცია. ამის შესახებ მრევლმა მოიწვია სამღვდელო ყრილობა ადგილობრივ კომისრის თანდასწრებით, სადაც ამოირჩიეს სასურველი მღვდელი, რის შესახებაც შეადგინეს ოქმი. შემდეგ ყრილობისა ოქმი და თხოვნა გაეგზავნა დანიშნულისამებრ.

დ. ონაშვილი.

ქ. ონი. 8 თებერვალს ონის თეატრის დარბაზში, ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილ იქნა პიესა „ცამბირელი", რომლის მთელი შემოსავალი გადაიდო მოღლის და ს. სომიწოს ბიბლიოთეკა-სამკითხველოების სასარგებლოთ. შემოსავალი უდრიდა 2900 მან. აქედან დაიხარჯა 690 მან. დარჩა ნაღდი ფული 2210 მ. მოღლის და ს. სომიწოს ბიბლიოთეკა-სამკითხველოების გამგეობა უღრმეს მადლობას უცხადებს ყველა იმ პირებს, რომლებმაც პირადი მხურვალე მონაწილეობის მიღებით ხელი შეუწყვეს ამ საქმეს და მით აღმოუჩინეს ნივთიერი დახმარება, ზემოხსენებულ კულტურულ დაწესებულებებს.

მოღლის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გამგეობის თავმჯდ. ს. ბერიაშვილი.

ს. ჭინათი. (გურია) შემოსწირეს ჭინათის უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს ფონდიდან გიორგი საბახტარიშვილმა 500 მან. მანვე შეაგროვა მის ნაცნობებში 1.500 მან., ალექსანდრე ჭეიშვილმა შეაგროვა და გადმოგვცა 1100 მან. თფილისში რკინის გზის მთავარ სახელოსნოში და ვაგონის ცეხში შეგროვილი 1,730 მან. და 50 კაპ. [illegible] ანდრია სულაბერიძის მიერ. სამკითხველოს გამგეობა მადლობას უცხადებს შემომწირველთ.

ილარ. გოგიჩაშვილი.

წერ. რედაქციის მიმართ

გორის სამაზრო ერობის გამგეობის ინიციატივით და ხელმძღვანელობით გორში მოეწყო სტუდენტთა დღე 26 იანვარს. წმინდა შემოსავალი ამ დღეს იყო 9381 მან., რომელიც გადაეცათ სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის გამგეობას.

უღრმეს მადლობას ვწირავთ ყველა იმ პირთ, რომელთაც თავიანთი მონაწილეობით ხელი შეუწყეს ამ დღის მოწყობას და შემოწირულების შეგროვებას. მადლობას ვუცხადებთ ყველა იმათაც, ვინც არ დაიშურა თავისი წვლილი ამ საქმისათვის.

თავმჯდომარე მ. ახალაძე, მდივანი დ. მელიქაძე.

— —

ბატონო რედაქტორო! თქვენს პატივცემულ გაზეთის უკანასკნელ ნომრებში დაიბეჭდა ჩემი წერილი „უკანასკნელი პასუხის" სათაურით. ამ წერილის მეორე ნახევარში ზოგიერთი ადგილი არის გამოტოვებული. ამიტომაც უმორჩილესად გთხოვთ აღნიშნოთ ერთი ადგილი მაინც, რომელსაც ჩემს წერილში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების მოსამსახურეთა საბჭო თავის წერილში აღნიშნავს, ვითომ ჩემის დროის გამგეობას სავაჭრო ბანკიდან სესხის აღების დროს ან დაეგირავებინოს სხვისი ქაღალდი, რომელიც ჩვენს საწყობში იყო ან ბანკი შეეყვანოს რაიმე შეცდომაში.

კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ჩემის თავმჯდომარეობის დროს გამგეობას არასდროს არ დაუგირავებია სხვისი ქაღალდი. ი. ლ. იოხაძე.

ფოსტა

დ. ცაგერი. ი. ხონელიძეს. თქვენ მიერ ნაჩვენები მისამართით გაზეთები გეგზავნებათ 15 თებერვლიდან.

განცხადებანი

სკრის სახელმწიფო მამული
იყიდება
ნერგები და მაჟალო
სადგური სკრა.
(98, 5—1)

სამართებლები
„ჟილეტს"
ნამდვილი ამერიკული სასწრაფოთ იყიდება
შეღავათიან ფასებში ბითუმად და ცალობით ა. ბაგინტის
ინგლისურ მაღაზიაში
რუსთაველის პრ. № 20 სახაზინო თეატრის პირდაპირ. (968 2—1)

ექიმი ზ. ა. [illegible]
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებებით ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. [illegible] ქუჩა № 61, [illegible]

ექიმი ქალი
მ. მ. [illegible]
წყნეთის ქუჩა № 26. იღებს ყოველ დღე 1—3 საღამოს 6—7. სპეციალურად სამშობიარო ქალების ავათმყოფობა. [illegible] ვენერიული ავათმყოფობა.

ექიმი
ნ. ლ. ცერიაშვილი
იღებს შინაგან, სამშობიარო და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 1—3 ს. და საღ. 4—5 ს. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლოს. ტელ. 14—18. 119—

ექიმი
[illegible]
(ოზურგეთიდან)
იღებს ავათმყოფებს საღამოს 5—7 საათ. სასამართლოს ქუჩა № 52.
(თ. 561)

ექიმი ა. ლევენშტეინი
შინაგ. და ნერვიული სნეულებანი. ექიმობა და გამოკვლევა ყველა თანამედროვე საშუალებებით. სპეციალურად: გულის, ფილტვების, კუჭ-ნაწლავების, [illegible] და ნერვიულ სისტემის. რენტგენისა და ელექტრო-სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 და საღამოს 4—7 საათ. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3. (471)

კბილის ექიმი
ქ. ვ. ბიბინეიშვილი.
იღებს ავათმყოფებს დილის 9—2 საათ. და 4—6 საათ. ნიკოლოზის ქუჩა № 64
(566—4—4)

კერძო სამკურნალო
ექ. ე. მ. მძინარიშვილისა
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. და კიროჩნ. ქუჩ. კუთხე № 22 ტელ. 10—87
მიიღება ყოველგვარ სნეულებიან ავათმყოფებისა დილის 8—3 საათამდე, ვენერიულით, სიფილისით და კანის სნეულებით დაავათმყოფებულნი მიიღებიან აგრეთვე საღამოთი 4—7 საათ. უსახსროთათვის უფასოთ დილის 8—11 საათ.
იღებენ ექიმები
ი. ქ. ახაკელია—შინაგან ავადმყ.
დ. მ. ჟღავახიშვილი—შინაგანი და ბავშვების ავათმყ.
ა. გ. მაღალაშვილი—შინაგ. ავათმყ. და მიკროს—ხიმ. ანალიზი.
ა. გ. მაჭავარიანი—ხირურგ. ავათმყ.
ე. მ. მძინარიშვილი—ვენერიულ, სიფილისის და კანის ავადმყ.
ნ. ხ. ორემბოვსკი—ყურის, ყელის და ცხვირის სნეულ.
ზ. მ. ცხვედაძე—თვალის ავათმყ.
ე. დ. შალამბერიძე—ქალის ავათმყ. და სამშობიარო.
სამკურნალოში სწარმოებს: კონსულტაცია, ოპერაცია, ელექტრიზაცია, მასაჟი, კანს ქვეშ შეშხაპუნება, ყვავილის აცრა, „606" და „914" შეშხაპუნება და აგრეთვე მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი (ნახველის, კუჭის წვენის, სისხლის, შარდის, განავალის და სხვ. (თ. 009)

ექიმი ა. დ. კეკელია
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილით 9—11 და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მიხაილოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნიცა"-ს პირდაპირ. ტელ. 14—28.
(154—თ.)

ექიმი
პ. შ. ფართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606" და 91 ½" შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. სურამის ქ. № 9, [illegible] ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (თ. 546)

დოქტორი მედიცინისა ყოფ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა
გ. შ. მეჰრაბიანი
შინაგანი ავადმყოფობა, ქლექისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. ქლექების ოპერაცია—პნევმოტორაქსი. ყოველ დღე დილით 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92. მიწის ძვრისაგან დაზარალებულებს [illegible] უფასოთ. (თ. 636)

ექიმი ზ. ა. [illegible]
სპეციალურად სიფილისი და [illegible] სნეულებანი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე გზების სნეულებანი, ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. [illegible] მისამართი: [illegible] ქუჩა № 23.

[illegible] სტამბა ვ. რუხაძისა, [illegible] შესახვევი № 1.